აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№42 (24.922) შაბათი, 30 აპრილი - 2 მაისი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარამოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 18-23, შიდამთიან რაიონებში - 20-25, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

კრიალოსა N იუსი

საქართველომ ევროკომისიისგან მიღებული კითხვარის პირველ ნაწილზე მუშაობა დაასრულა. შევსებული კითხვარი საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს კარლ ჰარცელს ორშაბათს, 2 მაისს გადაეცემა, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. მიმდინარეობს მუშაობა კითხვარის მეორე, სექტორული ნაწილის შევსებაზე, რომელიც აერთიანებს 33 თავს და მოიცავს 2300-მდე კითხვას. მისი მიწოდების თარიღად ევროკავშირმა 13 მაისი განსაზღვრა, თუმცა საქართველოს მთავრობის სურვილია, ევროკავშირს შევსებული კითხვარი დათქმულ ვადამდე მიაწოდოს.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა რეგიონში არსებული ვითარება და რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებული ომი განიხილეს. სალომე ზურაბიშვილმა ნენსი პელოსის მადლობა გადაუხადა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ „საქართველოს მხარდამჭერი აქტის“ მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამერიკის მხარდაჭერასა და საქართველო-ამერიკის მჭიდრო სტრატეგიული თანამშრომლობის მნიშვნელობას. პრეზიდენტმა ნენსი პელოსი მოიწვია თბილისში მაისში დაგეგმილ ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც პრეზიდენტის ინიციატივით მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებს მიეძღვნება.

* * *

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამჟამინდელი რეგიონული გამოწვევების გათვალისწინებით, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივან ასაფ ჰაჯიევთან შეხვედრისას განაცხადა. შეხვედრაზე მიმოიხილეს უკრაინასა და შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენები. აღინიშნა, რომ რუსული აგრესია უკრაინაში მძიმე შედეგების მომტანი იქნება რეგიონისთვის და მსოფლიოსთვის.

* * *

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა ერთიანი ევროგადახდის სივრცეში (SEPA) საქართველოს გაწევრების თაობაზე სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობა შეაჯამა. „ერთიანი ევროგადახდის სივრცეში გაწევრება მეტ სანდოობას შესძენს საქართველოს საბანკო სექტორს საერთაშორისო არენაზე, გაამარტივებს ევროპის ეკონომიკურ სივრცესთან სავაჭრო ურთიერთობებს, გამარტივებული სერვისით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ ევროკავშირის ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების მზარდ ტენდენციებს“, - განაცხადა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილმა.

მოამზადა
ია შველიძემ

მინისტრის ანგარიში – საკანონმდებლო ორგანოს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე რეგიონის უმაღლესი საბჭოს წინაშე 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშით წარსდგა

მინისტრის ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა 392 937,2 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 307 361,8 ათასი ლარი შეადგინა. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (278 656,8 ათასი ლარი) შედარებით შემოსულობების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 28 705,0 ათასი ლარით, ანუ 10,3 პროცენტით.

ჯაბა ფუტკარაძის განმარტებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საანგარიშო პერიოდის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 303 937,2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 285 103,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ გეგმა შესრულებულია 93,8 პროცენტით. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (247 884,2 ათასი ლარი) შედარებით, შემოსავლების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 37 219,2 ათასი ლარით, ანუ 15,0 პროცენტით.

რაც შეეხება რესპუბლიკური ბიუჯეტის 2021 წლის სხვა შემოსავლების გეგმას, მინისტრის განცხადებით, იგი განისაზღვრა 13 937,2 ათასი ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 11 699,3 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (10 651,6 ათასი ლარი) შედარებით სხვა შემოსავლების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 1 047,7 ათასი ლარით, ანუ 9,8 პროცენტით.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ მინისტრმა დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა, რომელიც ძირითადად ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, ასევე მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირების საკითხს შეეხო, რაც მათივე თქმით, მიბმულია ჩვენი რეგიონის ადიგენი-ზარზმის დამაკავშირებელ გზასთან. შესაბამისად, დეპუტატებს აინტერესებდათ, რომ თუ აღნიშნული გზის რეაბილიტაცია ვერ მიდის ბოლომდე, ეს ავტომატურად ხომ არ ნიშნავს გაზიფიცირების პროცესის შეფერხებას.

- მოგეხსენებათ, დღეს გვქონდა საკომიტეტო განხილვა 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებების პარამეტრებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ეპიდვითარებისა, მიუხედავად იმისა, რომ გასული წელი იყო საარჩევნო წელი და დაახლოებით სამი თვით ჩაკეტილი იყო ბიუჯეტის ცვლილების შესაძლებლობა, ჩვენ, პრაქტიკულად, ყველა ის პროექტი, რომელიც იყო დაგეგმილი, რომლის განხორციელების საშუალებაც გვქონდა ეპიდვითარებიდან გამომდინარე, განვახორციელეთ. საერთო ჯამში, დაახლოებით 80-პროცენტიანი შესრულება გვაქვს როგორც შემოსულობების, ისე ხარჯვით ნაწილშიც. ყველა ის პრიორიტეტული პროექტი, როგორიც არის ე.წ. „ოცნების ქალაქის“ მშენებლობა, მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირება, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, გზის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღების, სკოლების მშენებლობა, პრაქტიკულად ყველა ეს პროექტი შეუფერხებლად განხორციელდა. ხოლო ნაწილი პროექტებისა, რომლებიც გასულ წელს დაიწყო, თუმცა ვერ დასრულდა წლის ბოლომდე, ჩვეულებრივად მიმდინარეობს, რაზეც ძალიან მალე გვექნება დეტალური ანგარიში.

რაც შეეხება გაზიფიცირების საკითხს, მოგეხსენებათ, მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირება რეგიონის უმნიშვნელოვანესი და ერთ-ერთი მასშტაბური პროექტია. ეს პროექტი ორ ნაწილად უნდა გავყოთ, პირველი არის ცენტრალური მილსადენის მშენებლობა და მეორე ეტაპი არის დაქსელვითი სამუშაოები, რომელსაც საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს. აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფარგლებში ცენტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტი ინტენსიურად მიმდინარეობს, ეს პროექტი თანხვედრაში არის ხულო-ზარზმის ცენტრალური გზის მშენებლობის პროექტთან. მოგეხსენებათ, რომ გასულ წელს ინტენსიურად დაიწყო ამ გზის მშენებლობა და გაზსადენის მშენებლობაც პარალელურად ხორციელდება, რაც მიმდინარე წელსაც გაგრძელდება, მშენებლობისთვის დაახლოებით 6 მილიონი ლარი არის გათვალისწინებული. გასულ წელს 2 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა ამ პროექტის განხორციელებისთვის და უკვე ხულოს ცენტრამდე არის ცენტრალური გაზსადენი მიყვანილი. რაც შეეხება დაქსელვით სამუშაოებს, ახორციელებს ცენტრალური ეკონომიკის სამინისტრო. აქაც უკვე მომზადებულია რიგი სოფლების დაქსელვის დეტალური გეგმები, საუბარია ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტების სოფლებში დაქსელვის სამუშაოებზე, რაც ზაფხულიდან დაიწყება კიდეც, - განაცხადა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ.

«ჩვენი მიზანია, ხულომ წელიწადის ოთხივე დროს მოიზიდოს ტურისტები»

3

«შემოქმედი მუდამ ფრთაგაშლილი უნდა იყოს»

4

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ტურიზმი და სტუდენტებზე ზრუნვა კვლავაც პრიორიტეტულია

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა სტუდენტების მხარდაჭერას აგრძელებს. პროგრამის ფარგლებში, 1000-ზე მეტ სტუდენტს უკვე დაუფინანსდა სწავლა. მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძემ 28 აპრილს გამართულ მთავრობის სხდომაზე კიდევ ერთი ახალი ინიციატივა გაახმოვანა, რომლის ფარგლებშიც 670 პირველკურსელ სტუდენტს 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასური დაუფინანსდება

რეგიონის პირველი პირის განცხადებით, აქტიურად მიმდინარეობს ახალი ტურისტული სეზონისთვის მზადება. თორნიკე რიუვაძის თქმით, პანდემიის პერიოდში სერიოზული პრობლემები იყო ამ მიმართულებით. მან ტურიზმის აღდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ტურიზმის აღდგენა და მისი 2019 წლის მაჩვენებლებთან მაქსიმალურად მიახლოება მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. თორნიკე რიუვაძემ შესაბამის სამსახურებს საგანგებო რეჟიმზე გადასვლისკენ მოუწოდა.

- ტურიზმი არის ჩვენი მთავრობის პრიორიტეტული მიმართულება. წელს ჩვენ გვაქვს უნიკალური შესაძლებლობა, რომ დავუბრუნდეთ 2019 წლის დინამიკას. მოლოდინები არის პოზიტიური. 1 მარტის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 50 პროცენტითაა გაზრდილი. მინდა ვთხოვო ტურიზმის დეპარტამენტს, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს, ბულვარის ადმინისტრაციას მაქსიმალურად გააქტიურონ სამუშაოები სეზონის ღირსეულად დასახვედრად და მომდევნო სამი კვირის განმავლობაში მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ. დარწმუნებული ვარ, ტურიზმის სექტორისთვის წელს იქნება წარმატებული სეზონი. ყველა ორგანიზაციას მინდა დავავალო, გამოიჩინონ მაქსიმალური სიმკაცრე თითოეულ კონტრაქტორ კომპანიასთან, ვინაიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქის, თითოეული გადასახადის გადამხდელის ფული იხარჯებოდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. საქართველოს მთავრობამ მიიღო დაგაწყვეტილება, რომლის ფარგლებშიც 2021 წლის ქონების გადასახადისგან თავისუფლდება ტურისტული კომპანიები, რაც მათ შესაძლებლობს მისცემს, მიმდინარე წელი გამოიყენონ მაქსიმალურად ეფექტურად, - განაცხადა თორნიკე რიუვაძემ.

როგორც მთავრობის სდომაზე ითქვა, 2022 წლის 1 კვარტალის მონაცემით, რეგიონში ვიზიტიორთა ნაკადები, 2019 წელთან შედარებით, უკვე აღდგენილია 50 %-ით. მნიშვნელოვანია, რომ ესტონეთისა და ლიეტუვის შემდეგ, წელს პირველად, რიგიდან ბათუმის მიმართულებით პირდაპირი ფრენები იწყება და მას ლატვიის ეროვნული ავიაკომპანია Air Baltic-ი შეასრულებს. აჭარის პოპულარიზაცია 16-ზე მეტ სამიზნე ქვეყანაში ხორციელდება, მათ შორისაა ბალტიისპირეთის ქვეყნები. მნიშვნელოვანია, რომ აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რაც მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ვიზიტიორებისთვის.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მაია ხაჯიშვილის განცხადებით, სამინისტრო „სტუდენტთა დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, 2022 წლის 15 თებერვლიდან 15 მარტის ჩათვლით კონკურსში მონაწილე რეგიონში მცხოვრებ ყველა იმ პირველკურსელს დაუფინანსებს სწავლას, რომელთა განცხადებები აკმაყოფილებს ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- სამინისტროში ამოქმედდა „სტუდენტთა დახმარების“ ახალი პროგრამა, გამოცხადდა კონკურსი და მთავრობის თავმჯდომარის მხარდაჭერით მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ყველა სტუდენტს, ვისაც ამ კონკურსის ფარგლებში ჰქონდა შემოტანილი განაცხადი, დავუფინანსოთ სწავლა. სამინისტრო, ქვეპროგრამის ფარგლებში, სწავლის საფასურს აუნაზღაურებს რეგიონში მცხოვრებ ყველა იმ სტუდენტს, რომელიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს. ქვეპროგრამის ფარგლებში, სწავლის საფასურს დავუფინანსებთ იმ სტუდენტებს, რომლებიც არიან მაღალმთიანი აჭარიდან, არიან ობოლი დედით, მამით, ან უდედმამო, არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები, სტუდენტებს, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 100 000-ზე, რომლებიც არიან მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე, სტუდენტებს, რომლებსაც ან რომელთა მშობლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვთ მარტოხელა მშობლის სტატუსი, დაუფინანსდებათ სწავლა. მინისტრის განმარტებით, სამინისტრო 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემეტრს სულ 670 სტუდენტს დაუფინანსებს. მათ შორის: 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დაფინანსებულ 525 სტუდენტს, რომლებსაც გაუგრძელდებათ დაფინანსება და 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შერჩეულ 145 პირველკურსელს.

მთავრობის სხდომაზე კიდევ ერთი სიახლე გახმოვანდა. მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, აჭარაში თანამედროვე ლაბორატორია მოეწყობა, რომელიც გზის საფარის ხარისხის და სამუშაოთა შესრულების მაქსიმალურ კონტროლს ისახავს მიზნად.

თორნიკე რიუვაძემ აჭარის მთავრობის სხდომაზე რეგიონში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ სპორტული ინფრასტრუქტურის მიმართულებით აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში 70 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

მთავრობის სხდომაზე მიწის უფასო დამუშავების პროგრამაზეც იმსჯელეს. ფერმერების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელს, უფასოდ, 2200 ჰექტარი მიწის ფართობი დამუშავდება.

მორიგი სხდომა – ხელვაჩაურის საკრებულოში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც საკრებულოს წევრებმა 5 საკითხს უყარეს კენჭი

განკარგულების პროექტის თანახმად, 2022 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, მოსახლეობის საჭიროებების შესაბამისად, გზების კეთილმოწყობას, გარეგანათებას, საბავშვო ატრაქციონისა და სანაღვრე არხის მოწყობას მოხმარდება. განსახილველად წარდგენილი იყო, ასევე, ხელვაჩაურის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა.

სხდომაზე დასამტკიცებელ საკითხთაგან ერთ-ერთი იყო განკარგულების პროექტი, რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას გულისხმობს. ასევე, წარდგენილი იყო განკარგულების პროექტი „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის შესახებ“ ზოგადი წესის სრულყოფის თაობაზე დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.“

საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს საკითხს, რომელიც ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის გათავისუფლება-დანიშვნას ეხებოდა.

- მინდა ხაზი გავუსვა სოფლის პროგრამას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. შექმნილი იყო 8 სამუშაო ჯგუფი, რომელშიც, ფაქტობრივად, საკრებულოს ყველა წევრი იყო ჩართული. ერთხმად გადაწყდა, რომ დაფინანსების უმეტესი ნაწილი დაიხარჯება გზების მოწესრიგებაზე, განათებასა და საბავშვო ატრაქციონებზე, ასევე, საგზაო არხების მოწყობაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროექტი საკმაოდ კარგ შედეგებს მოგვიტანს ინფრასტრუქტურის მიმართულებით, - თქვა ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძემ.

საკანონმდებლო სიახლის გაცნობისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით

აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი, საკანონმდებლო სიახლის გაცნობისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. **ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ უმაღლესი საბჭო ავრცელებს**

შეხვედრა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გაიმართა და საქართველოს პარლამენტის მიერ ახლახან მიღებულ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივას დაეთმო. როგორც ცნობილია, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებით, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ახალგაზრდული პროექტების განხორციელებისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის გრანტების გაცემის უფლებამოსილება მიენიჭათ.

„პირველ ეტაპზე, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის საქმიანობის კიდევ უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით, საკანონმდებლო საჭიროებების შესახებ კვლევა ჩაატარა.

იხ. მე-7 გვ.

ამბები

საბავშვო ბაღი – ახალშენში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ახალშენის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბავშვო ბაღი გაიხსნა

ახალაშენებული საბავშვო ბაღი უმაღლეს სტანდარტებს შეესაბამება და ეკოლოგიურად სუფთა მასალით აშენდა.

მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე, საბავშვო ბაღი 250 აღსაზრდელზეა გათვლილი. შენობა აღჭურვილია ორი ლიფტით, სახანძრო უსაფრთხოების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით, სა-

მზარეულო-დამხმარე სათავსოთი, სასადილოთი, სველი წერტილებით, საძილე და სამყოფი ოთახებით. მომსახურე პერსონალის ოთახით, ბაღს აქვს კეთილმოწყობილი ეზო, ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან დამზადებული ატრაქციონები, სათამაშო მოედნები, სპორტული დარბაზი და მუსიკის კაბინეტი.

სამშენებლო სამუშაოებს შპს „მტმ“ აწარმოებდა, მშენებლობის საერთო ღირებულებამ 2 500 000 ლარი შეადგინ.

გახსნის საზეიმო ცერემონიას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა დიასამიძე, საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძე, საკრებულოს წევრები, მერიის თანამშრომლები და სხვადასხვა უწყებიდან მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

კეთილი წამოწყება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მმართველი პარტია «ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო» 14 წევრითაა წარმოდგენილი. საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძის ინიციატივით საქველმოქმედო ფონდი შეიქმნა, სადაც ყოველი თვის ბოლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, კომისიის თავმჯდომარეები, ფრაქცია «ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს» თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, სურვილისამებრ, სახელფასო დანაზოგს ფონდში რიცხავენ. შეგროვებული თანხით შეძენილ სასურსათო პროდუქტებს სიღარიბის ზღვარზე მყოფ, სტიქიისგან (ხანძარი, მეწყერი) დაზარალებულ ოჯახებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გადასცემენ. პირველი აქცია ნიგაზეულში, ნენიაში, ახალდაბასა და ტაკიძეებში (ზედაყანა) მოეწყო.

- საწყის ეტაპზე, მაჟორიტარი დეპუტატებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელების რეკომენდაციით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე რამდენიმე პირს სასურსათო კალათით დავეხმარეთ. მომდევნო თვეებში სხვა სოფლებში გავალთ, - გვითხრა როსტომ ლორთქიფანიძემ.

„ჩვენი მიზანია, ხულომ წელიწადის ოთხივე დროს მოიზიდოს ტურისტები“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ორგანიზატორული ნიჭი, მენეჯერისა და ლიდერის თვისებები, საქმისადმი ერთგულება, გამოცდილება - ეს ის ფაქტორებია, რის საფუძველზეც 2021 წლის 2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებზე ხულოელმა ამომრჩეველმა მეორედ დაუჭირა მხარი ვახტანგ ბერიძის მერად არჩევას. იგი ჩვენი სტუმარია

- მთიანი მუნიციპალიტეტის რეალობაში კიდევ მრავალი პრობლემა და საქმე რჩება გამოსასწორებელი. ყველაფერს ერთბაშად ვერ გავწვდებით. გასულ წლებში ჭარბი შრომითი რესურსების ადგილზე დასაქმება, სიღარიბის დაძლევა, არსებული რესურსების მიზნობრივად გამოყენება იყო ჩვენი მუშაობის მთავარი მიმართულება. ეს იყო უაღრესად შრომატევადი და პერსპექტიულ შედეგებზე ორიენტირებული დრო. დასაბამი მიეცა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მოწესრიგებას, დიდ თუ მცირე პროგრამებსა და პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას, განათლებისა და კულტურის განვითარებას. ქვეყნისა და რეგიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და ძალისხმევით, გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ვხვდებით მათ, წარვუდგენთ გაკეთებული პროგრამებისა და პროექტების ანგარიშს, რის საფუძველზეც მოქალაქე თავად განსაზღვრავს, ვიმსახურებთ თუ არა მათ ნდობასა და მხარდაჭერას. მოსახლეობის წინადადებებისა და სურვილების შესაბამისად, დაიგეგმა და დაიწყო მთელი რიგი რეფორმები. თითქმის მილიონამდე ლარია მობილიზებული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“. 100-ზე მეტი პროექტი მოსახლეობამ აირჩია, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სიღარიბის დაძლევას, სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოქალაქეების დასაქმებასა და რაც მთავარია, მათი ჯანმრთელობის უზრუნველყოფას.

- ხულოში ტურიზმი აქტიურად ვითარდება. როგორია სამომავლო გეგმები?

- ხულოს აქვს პოტენციალი, თანმიმდევრული და კომპლექსური მიდგომით, რესურსების ათვისებით, რაც შეიძლება მეტი მოქალაქე ჩართოს ტურისტულ ბიზნესში, უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტიორებს შესთავაზოს ეკოლოგიურად სუფთა, ბიოლოგიურად საიმედო პროდუქტი, რაც გააჩენს ტურისტების ახალ სეგმენტს, დაეხმარება მოსახლეობას დასაქმებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვანია, რომ ის ეკონომიკური სარგებელი, რომელიც ტურიზმს მოაქვს, ნაწილდება მუნიციპალიტეტში და აქ მცხოვრებთ ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ, ეკონომიკურ აქტივობაში, მეტი სარგებელი მიიღონ ტურიზმის სექტორის განვითარებით. საბოლოო ჯამში ეს ნიშნავს მეტ დასაქმებულ მოქალაქეს, მეტ შემოსავალს. მისასალმებელია, რომ ბოლო დროს ვიზიტიორთა რაოდენობა ორჯერაა გაზრდილი. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ხულოში ტურიზმის აღმავლობას. მჯერა, რომ ხულო გახდება ქვეყნის ტურისტული ჰაბი. აჭარა-შავშეთის, მესხეთის ქედების კალთებზე არსებული სამთო კურორტები ბეშუმი, ბახმარო, ახლად განვითარებული გოდერძი ზამთრის ტურიზმს, სამთო-სათხილამურო სპორტს დიდად წაადგება. გოდერძიზე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს. იგი უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების არეალშია. უკვე რამდენიმე მაღალი კლასის სასტუმრო მოქმედებს. დამკვეთებიც არ აკლია.

- გასულ წელს ხულოს დრამატული თეატრის შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. რა ღონისძიებები ტარდება კულტურის ამ კერის პოპულარიზაციისათვის?

- ხულოს დრამატული თეატრი აქტიურადაა ჩართული თეატრალურ ცხოვრებაში, ამაღლდა სპექტაკლების მხატვრული დონე, დასი მონაწილეობს ფესტივალებსა და კონკურსებში, აწყობს გასტროლებს უცხოეთში, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. თეატრის ხელმძღვანელობამ გააზრებულად დაიწყო ურთიერთობები საქართველოში მოღვაწე სახელოვან რეჟისორებთან. მნიშვნელოვანია ხულოში ბატონ რობერტ სტურუას ჩამოსვლა, მასტერკლასები, რომელმაც სისტემატური ხასიათი მიიღო. თეატრს დაარსებიდან 85 წელი უსრულდება. ამ თარიღს დასთან და ხულოელ მაყურებელთან ერთად აღვნიშნავთ. გვეამაყება, რომ ხულოს თეატრის სცენაზე დადგმულმა სპექტაკლებმა მტკიცედ დაუმკვიდრა მას საპატიო ადგილი ეროვნულ თეატრალურ ხელოვნებაში. ჩვენ მომავალშიც ვგეგმავთ ასეთი საქმიანობის გაგრძელებას და კიდევ უფრო გაფართოებას.

- სამთო-სათხილამურო კურორტი გოდერძი ერთადერთია საქართველოში, რომელიც გენერალური გეგმის მიხედვით ვითარდება. რას გვეტყვით კურორტის მნიშვნელობასა და პოტენციალზე?

- გოდერძის მიმართ ინვესტორთა ინტერესი დიდია. აქ აქტიურად მიმდინარეობს სასტუმროების მშენებლობა და სხვა საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. რომ არა მმართველი პარტიის მაშინდელი ლიდერის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის დაინტერესება, კურორტის განვითარება გაიყინებოდა. სახელმწიფო ახლაც მაქსიმალურად უწყობს ხელს, რომ გამართული იყოს ის ინფრასტრუქტურა, რაც კურორტს სჭირდება. პანდემიის პერიოდშიც მისი განვითარება მიზანმიმართულად მიმდინარეობდა. ამის დასტურია თუნდაც ის აქტივობები, რაც იქ იმართებოდა. შარშან აქ აჭარის მთავრობის გამსვლელი სხდომაც ჩატარდა. ეს პროექტები მნიშვნელოვანია ერთი მხრივ იმით, რომ ხელს უწყობს ადგილობრივების დასაქმებას, მეორე მხრივ კი ჩნდება ახალი შესაძლებლობები, მოვიზიდოთ ვიზიტიორები. გოდერძის უღელტეხილზე გაივლის ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზა, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სასიცოცხლო არტერიაა. ამ ეტაპზე, ასევე, მნიშვნელოვანია გზის რეაბილიტაცია, რომელიც გოდერძის უღელტეხილის გავლით, უმოკლესი მანძილით აკავშირებს საქართველოს სამხრეთ რეგიონებს აჭარასთან, ბათუმის საზღვაო პორტთან, შავიზღვისპირეთის კურორტებთან და სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტთან. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთი ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გადის. აღნიშნული გზის დასრულება ორმაგად გაზრდის კურორტ გოდერძიზე ტურისტების რაოდენობას და მის პოტენციალს, სამცხეში, ჯავახეთისა და თრიალეთის ზეგნებზე ჩვენგან გადასული მოსახლეობის მშობლიურ კუთხეში წელიწადის ყოველ დროს მიმოსვლას. უღელტეხილი ზამთრობით იკეტება.

- ძირითადად რა პროგრამების და პროექტების განხორციელებას ეთმობა ყურადღება?

- ბიუჯეტით, ძირითადი პრიორიტეტები სოციალურ-ეკონომიკური სფეროს მხარდაჭერაა. ჩვენი მიზანია, ხულოს მერიამ ეფექტურად იზრუნოს მოსახლეობაზე. მოქალაქეების სურვილების საფუძველზე, ძვირად ღირებული პროექტების ხარისხიანად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შესრულებაზე. ადგილობრივი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც წესი, ხმარდება ჯანდაცვის და სოციალურ მიმართულებებს, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარებას. ეს ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებებია, თუმცა, არანაკლებ პრიორიტეტულია ახალი, თუნდაც „ურბანული განვითარების“ პროგრამა.

- პანდემიის პერიოდში რა სირთულეების და გამოწვევების წინაშე იდგა მუნიციპალიტეტი?

- გასული წლები დალხინებისა და მოდუნების საშუალებას არ იძლეოდა. მთელ მსოფლიოს და ჩვენს ქვეყანას, პანდემიის სახით, სერიოზული გამოწვევები ჰქონდა. ამის მიუხედავად, არცერთი ინფრასტრუქტურული პროექტი არ შეჩერებულა

- აღდგომის დღეებში მართლმადიდებლურ ტაძარში იყავით, რამაზნის ბაირამს მეჩეთში შეხვდებით...

- ხულოს მუნიციპალიტეტი განსხვავებულია თავისი წეს-ჩვეულებებით, ტრადიციებით, სტუმართმოყვარეობით და ადამიანებით. ეს მაძლევს სტიმულს და მოტივაციას, რომ ვემსახურო თანარაიონელებს, გავიზიარო მათი სიხარული და საჭიროების შემთხვევაში, გვერდით დავუდგე მათ, ვინც თანადგომას ელის. მართლმადიდებლურ ტაძარშიც მოვილოცე და მეჩეთში აღვლენილ ლოცვასაც დავესწრები. ამაში დიდ პატივს ვხედავ.

- დაბოლოს, რა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება გსურთ მომდევნო წლებში?

- ხულოს მუნიციპალიტეტისთვის დღეს ყველაზე დიდი გამოწვევა სასმელი და სარწყავი წყალი, სოფლების გაზიფიცირება, საავტომობილო გზების მოწესრიგებაა. ეს არის ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი პრობლემები, რაც მოსახლეობას აწუხებს. მომდევნო წლებში რეგიონისა და ქვეყნის მთავრობასთან ერთად, მსურს მათი მოგვარება. რაც შეეხება გაზიფიცირებას და წყალმომარაგებას, ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ წამოწყებული პროექტები გეგმის მიხედვით, შეუფერხებლად მივიყვანოთ ბოლომდე. შორს არც ის დროა, როცა რეკონსტრუირებულ ხულო-გოდერძი-ზარზმის გზაზე მგზავრი ნორმალურად, დისკომფორტის გარეშე გაივლის.

> ***„ხულოს მუნიციპალიტეტისთვის დღეს ყველაზე დიდი გამოწვევა სასმელი და სარწყავი წყალი, სოფლების გაზიფიცირება, საავტომობილო გზების მოწესრიგებაა. ეს არის ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი პრობლემები, რაც მოსახლეობას აწუხებს. მომდევნო წლებში რეგიონისა და ქვეყნის მთავრობასთან ერთად, მსურს მათი მოგვარება. რაც შეეხება გაზიფიცირებას და წყალმომარაგებას, ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ წამოწყებული პროექტები გეგმის მიხედვით, შეუფერხებლად მივიყვანოთ ბოლომდე***

კითხვარის მეორე ნაწილი გასაჯაროვდა

საქართველოს მთავრობა ასაჯაროებს ევროკომისიის კითხვარის მეორე სექტორულ/საკანონმდებლო ნაწილს, რომელიც ქვეყანას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად, ევროკომისიის მოსაზრების მოსამზადებლად გადმოეცა

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სხდომაზე მიიღეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

„კითხვარის მეორე ნაწილი, რომელიც საკმაოდ მოცულობითია და 33 თავს და 2300-მდე კითხვას მოიცავს, დარგობრივ თემებს და სექტორების მიხედვით ევროკავშირის კანონმდებლობასთან თავსებადობას ეხება.

კითხვარის პირველ ნაწილზე, რომელიც პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნაწილებს მოიცავს, საქართველომ მუშაობა უკვე დაასრულა და ის საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს კარლ ჰარცელს ორშაბათს - 2 მაისს გადაეცემა.

კითხვარის მეორე ნაწილის მიწოდების თარიღად ევროკავშირმა 13 მაისი განსაზღვრა, თუმცა საქართველოს მთავრობის სურვილია, ევროკავშირს კითხვარი მაქსიმალურად მოკლე ვადაში, დათქმულ ვადამდე მიაწოდოს“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ უაზრო კომენტარები არავინ უნდა გააკეთოს. იგი გამოეხმაურა რუსეთის განცხადებას უკრაინის ომის ბირთვულ ომში გადაზრდასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „ეს მარცხის მანიშნებელია, რაც რუსეთის სასოწარკვეთას აჩვენებს“. მისივე თქმით, აგრესია და მუქარა ვერ გაიმარჯვებს და რუსეთი ვერასდროს შეძლებს უკრაინაზე წარმატების მოპოვებას. ამ დღეებში ჯო ბაიდენმა აშშ-ის კონგრესს უკრაინის მხარდასაჭერად 33 მილიარდი დოლარი სთხოვა. დაფინანსება უახლოეს თვეებში სამხედრო საჭიროებებს ითვალისწინებს და რუსული აგრესიის შესაჩერებლად უსაფრთხოების გრძელვადიან შეკავებაზეა გათვლილი.

* * *

ეუთოს სპეციალური მონიტორინგის მისია უკრაინაში მუშაობას აჩერებს. ამის შესახებ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზბიგნევ რაიმ და ეუთოს გენერალურმა მდივანმა ჰელგა მარია შმიდმა განაცხადეს. „ეს არ არის მარტივი გადაწყვეტილება. ჩვენ, პოლიტიკური დიალოგის გზით, მონაწილე ქვეყნებთან განვიხილეთ ყველა შესაძლო ვარიანტი მანდატის გასაგრძელებლად, მაგრამ რუსეთის ფედერაციის პოზიციამ არ დაგვიტოვა სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ მისიის დასრულების ნაბიჯი გადაგვედგა“, - განაცხადა ზბიგნევ რაიმ. ამასთან, ეუთო გააგრძელებს სწრაფვას თავისი ვალდებულებების შესასრულებლად უკრაინაში. ეუთოს მისია უკრაინაში 2014 წლიდან დონეცკისა და მთლიანად ქვეყნის ტერიტორიაზე სიტუაციის მონიტორინგს ახორციელებდა.

* * *

გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერეში შოკირებულია იმ ფაქტით, რომ სარაკეტო თავდასხმები უკრაინაში მისი ვიზიტის პერიოდშიც არ შეჩერებულა. ამის შესახებ იყო საუბარი 28 აპრილს კიევში გამართულ ანტონიო გუტერეშისა და უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ერთობლივ პრესკონფერენციაზე. „გაეროს უსაფრთხოების საბჭომ ვერ შეძლო შეეჩერებინა და თავიდან აეცილებინა ომი უკრაინაში. ეს გახდა მასობრივი იმედგაცრუების, ფრუსტრაციისა და რისხვის მიზეზი, მაგრამ გაეროს თითეული წარმომადგენელი და წარმომადგენლობა ყოველდღიურად, მხარდამხარ უკრაინულ ორგანიზაციებთან ერთად, მუშაობენ უკრაინელებისთვის,“ - აღნიშნა მან. კიევში ჩასვლამდე, წინა დღით გუტერეში მოსკოვში პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდა.

* * *

უკრაინაში ომი შესაძლოა წლების განმავლობაში გაგრძელდეს - ამის შესახებ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე მირჩა ჯოანამ განაცხადა. „მომდევნო დღეები და კვირები, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს, მაგრამ ომის დასრულებას მეტი დრო დასჭირდება, თვეები და წლებიც კი, მაგრამ იმედია, ამ ომში უკრაინა გაიმარჯვებს“, - აღნიშნა მან. როგორც ცნობილია, პენტაგონის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა შეჭრის დღიდან უკრაინაში 1900-ზე მეტი რაკეტა გაუშვა. სარაკეტო დარტყმების უმეტესობა დონბასზე ხორციელდება. დაღუპულია ათასობით ადამიანი.

მოამზადა
ია შველიძემ

„შემოქმედი მუდამ ფრთაგაშლილი უნდა იყოს“

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ჩვენი დღევანდელი სტუმარი თვითმყოფადი პოეტი, სცენარისტი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, მოკლედ, ფართო თვალსაწიერის და შესაძლებლობების მქონე ქალბატონი ***მარი თაბაგარია.***

- მარი თაბაგარი - ვინ დგას ამ სახელის მიღმა, როგორ ხედავთ და აღიქვამთ საკუთარ თავს?

- ერთი უბრალო, საკუთარ სამშობლოზე, საქმიანობაზე, ლიტერატურაზე, სიკეთეზე, მეგობრებზე, შვილზე შეყვარებული ქართველი ქალი.

- დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება გაქვთ...

- ლამაზმა ბავშვობამ (ურთიერთობებს ვგულისხმობ) განსაკუთრებულად ფაქიზი სული ჩამომიყალიბა. შევიყვარე სამყარო და ადამიანები ისე, რომ სასწორის პინა ყოველთვის ჩემ მხარეს უფრო დაბლა ეშვებოდა. შემდეგ ცხოვრებამ, გამოცდილებამ მაჩვენა, მაგრძნობინა, რომ ზომიერებაზე უკეთესი არაფერია, ამიტომაც, შეძლებისდაგვარად, შვილის გარდა, ყველასთან ყველა გრძნობას ვაბალანსებ. მარტივად ვარჩევ ერთმანეთისგან გულწრფელ და ყალბ დამოკიდებულებას.

- პოეზია, თარგმანი, სცენარი, მოთხრობები, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა... სად პოულობს სული სავანეს?

- მიყვარს ჩემი საქმე და რასაც ვაკეთებ, მიუხედავად გადაღლისა, მსიამოვნებს. ვწერ, როცა ამის სურვილი მაქვს და მუზა მომაკითხავს (ხან ლექსად, ხანაც პროზად), ზოგჯერ საკუთარ შემოქმედებას საიმედოდ ვხურავ და სხვა ქვეყნის პოეტთა შემოქმედებას ვეცნობი. მერე რომელიმე საინტერესო ლექსს ვარჩევ, მისი ავტორის ნაჭუჭში ვიკეტები და ქართული ლექსიკით ვალამაზებ, ვთარგმნი. ცოდნას, გამოცდილებას, სიყვარულს არ ვიშურებ ჩემი მოსწავლეებისადმი. ყოველთვის ვფიქრობ, რომ მათ ჩვენზე მეტი უნდა შეძლონ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა მეტად განვითარდეს, გამთლიანდეს. ამის უპირველესი შესაძლებლობა განათლებული თაობაა. ჰოდა, ყოველი მათი წარმატება, საკუთარზე უფრო მახარებს. ისინი დადებითი ემოციებით მავსებენ და მეიმედებიან. ჟურნალისტიკა ჩემი ახალგაზრდობის გატაცება იყო. ვერ ვიტყვი, ცუდად გამომდიოდა-მეთქი, თუმცა მაინც პედაგოგიურმა პროცესებმა გამიტაცა. აღზრდისა და ცოდნის გადაცემის შესაძლებლობების ერთობლიობამ საკუთარი უნარების რეალიზაციის საშუალება მომცა. პედაგოგიკისკენ ნაბიჯს როცა დგამ, ყველაზე სუფთა სული და ზღვა სიყვარული გჭირდება, ეს კი ის ძალაა, რომელიც აღმომაჩნდა და ამიტომაც არასოდეს მიჭირს ვიყო გულწრფელი შემოქმედებასა და ჩემს მოსწავლეებთან. ახლა უფრო ხშირად რესპონდენტი ვარ. პრესისთვის მხოლოდ პუბლიცისტურ წერილებს ვამზადებ. რაც შეეხება სცენარსა და ხშირად რეჟისურასაც, ეს დაგროვილი ცოდნის რეალიზების კიდევ ერთი მხარეა.

- როდის დაიბადა თქვენში პოეტი?

- პოეტი როდის დაიბადა, ეს მკითხველისთვის უფროა თვალსაჩინო ლექსების შექმნის თარიღების მიხედვით. სულ პატარობისას, ვიდრე წერას ვისწავლიდი, თურმე ხშირად ვამბობდი გარითმულ სტრიქონებს. ჩემი და იწერდა... საკუთარი ხელით ჩაწერილი ლექსები პირველი კლასიდან მაქვს. ესე იგი განვითარების დიდი გზა გამივლია.

- კარგ მთარგმნელად გაღიარებენ. ვინ თარგმნეთ და მომავალში ვის თარგმნით?

- ქათინაურისთვის გმადლობთ. დავიწყებ იმით, რომ ჩემი მთარგმნელობითი საქმიანობის ხელისშემწყობი და ინიციატორი აწ განსვენებული ბატონი ალექსანდრე ელერდაშვილი იყო. მის „მთარგმნელთა ასოციაციაში“ ვთარგმნეთ და გამოვეცით ფრანჩესკო პეტრარკას სონეტების წიგნი. არასოდეს დამავიწყდება ამ სონეტებზე მუშაობის საინტერესო პროცესი. ნათარგმნი მაქვს ბევრი შესანიშნავი პოეტის ლექსი. განსაკუთრებით მომწონს ანა ახმატოვასა და იტალიელ პოეტ ადა ნეგრის პოეზია.

- რამდენიმე პრემიის ლაურეატი ხართ, რას ნიშნავს თქვენთვის ეს აღიარება?

- სასიამოვნოა, საკუთარ შემოქმედებას რომ გიქებენ. იგივე განცდაა, შვილი შეგიქონ, რა კარგად აღგიზრდიაო. პრემია ნივთიერი გამოხატულებაა ამ ქების და ერთგვარი სახსოვარიც.

- თქვენი შემოქმედება თემათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა: „მთაწმინდა“, „ვენური ვალსი“, „მე ევა ვარ“... იქნებ მოგვითხროთ მათ შესახებ?

- შემოქმედი მუდამ ფრთაგაშლილი უნდა იყოს, სივრცის შეუზღუდავად. თემათა მრავალფეროვნებაც ერთგვარი, თავისუფლების ჰაერით გაცოცხლებს. როცა გიყვარს სამშობლო, ადამიანები, ბუნება და თან ემოციებით ხარ დატვირთული, ვერც შეძლებ ჩარჩოში მოექცე და ერთ თემაზე წერო. ფორმით განსხვავებული ლექსები და თარგმანებიც მაქვს. ვწერ როგორც კონვენციურ, ასევე ვერლიბრსა და თავისუფალ ლექსს.

- დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა პოეტმა და მთარგმნელმა მზია კვირიკაშვილ-ლოურენსმა გამოსცა წიგნი „სულიერი ხილი“. მასში, თუ არ ვცდები, თქვენი ლექსებიცაა შეტანილი...

- დიახ, ქალბატონმა მზიამ ჩემი რამდენიმე ლექსი თარგმნა და ამ წიგნის სახით უძვირფასესი საჩუქარი გამიკეთა. კიდევ ერთხელ მეძლევა საშუალება, მადლობა ვუთხრა მას.

- რაზე წუხართ და რა გახარებთ, დღევანდელობას როგორ აღიქვამთ?

- სამწუხაროა და საფიქრალი იმდენად ბევრია, ჩამოთვლაც კი გამიჭირდება. დღეს ვისაც უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, რუსეთის სისასტიკე არ ადარდებს, მაპატიოს და... ჯანმრთელი არც მგონია, თუმცა ომის ტკივილი ჩემთვის ჩვენი აფხაზეთიდან იწყება... მახარებს იმედი იმისა, რომ თავისუფლებაზე იმდენად შეყვარებული თაობა გვეზრდება, უსამართლობას, ანექსიასა და ბოროტებას არავის აპატიებს. აქვე დავძენ, მათი პასუხი რომ დიპლომატიური იყოს, ამას ისევ და ისევ, კარგი განათლება სჭირდება.

- თვისება, რომელიც ყველაზე მეტადაა თქვენში განვითარებული?

- ჩემში რაც ყველაზე მეტადაა განვითარებული, ესაა გრძნობა, რომელსაც ვერც ერთ სხვა გრძნობას ვერ გავუტოლებ, ვერც შევადარებ. ესაა გრძნობა, თვით უფლისა და მისი მშობლის სიყვარულის საპირწონე - დედაშვილობა.

- როცა მარტო რჩებით, რაზე ფიქრობთ?

- ფიქრი ძალიან მიყვარს. შესაბამისად, ფიქრის საგანიც მრავალფეროვანია, თუმცა ფიქრი იმიტომაა ჩუმი და უხილავი, რომ მხოლოდ შენია და გამომზეურება არ უყვარს.

- ყველაზე მეტად რას აფასებთ და გიზიდავთ ადამიანებში, ბუნებაში?

- ბუნების განძია წყალი და ჰაერი. ვისურვებდი, მათსავით ძვირფასი და საჭირო ადამიანები გვყოლოდეს გვერდით, რომელთაც გულწრფელობა და ერთგულება დაამშვენებს.

- ტრადიცია და ნოვატორობა - საითკენ იხრებით?

- თუ ტრადიცია არ გაგაჩნია, ნოვატორი ვერ გახდები. სიახლე სად უნდა შეიტანო, თუ მანამდე არაფერი არსებობდა?! ყველა სიახლეს კი შემდგომშიც, ძველის საინტერესო შტრიხი გასდევს. თუ ტრადიციას ირჩევ და ნოვატორობას უარყოფ, ვერ განვითარდები. წინსვლა კი ისევე აუცილებელი ცხოვრებისეული ფაქტორია, როგორც არსებობა და ზრდა. განვითარება ახალ ტრადიციებს ნერგავს, ძველიდან კი რაც ღირებული და კარგია, რჩება, ილექება და ახლდება... ოქრო წყალში ფსკერზე ექცევა, წყლის გადაღვრისას ჭურჭელში რჩება. ასე უნდა მოვექცეთ ტრადიციის ელემენტებსაც, ძვირფასი შევინარჩუნოთ.

- ბედნიერებისთვის უპირველესად რა მიგაჩნიათ საჭიროდ?

- ბედნიერებას ერთი ფორმულა არ აქვს, ყველასთვის ინდივიდუალურია. ჩემთვის ჩემი შვილია ბედნიერება.

- კითხვა, რომელიც ხშირად გაფიქრებთ და პასუხს მოითხოვს...

- რომ არა ექიმების შეცდომა, მეყოლებოდა თუ არა დღეს მამა?

- დაბოლოს, თქვენი ერთი ლექსი...

- ორიოდ სიტყვით გავიხსენებ 2021 წელს ჩემს სტუმრობას აჭარაში ლიტერატურულ ფესტივალზე „ზე-კართან“. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მასპინძლობისათვის მადლობას ვეტყვი ვახტანგ ბერიძესა და იაკო თავართქილაძეს. მაღალმთიან აჭარაში რაც ძალიან უცხოდ და უჩვეულოდ მომეჩვენა, ეზოებში გაკეთებული საფლავებია. ამას აქვს მხოლოდ ერთი ახსნა - მშობლიური სახლისა და მიწა-წყლის განსაკუთრებული გაფრთხილება და პატრონობა... ლექსი კი, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, იმერეთის მიტოვებული სახლების სევდამ დამაწერინა:

მიტოვებული

სიჩუმე ბუდობს, შესდგომია კედლებს
სიცივე.
სახლის სახურავს ეპარება ღრუბლების
მოთქმა...
- მიგატოვესო?! - შემზარავად ქარი სისინებს
და გამოკეტილ კარის ურდულს გაუდის
ოხვრა.
სახურავიდან შეპარული წვიმა ნებივრობს,
კედლებზე ტოვებს კვალს ზოლად და ჩნდება
ღრუები,
ძველი განჯინა თითქოს წერდეს თავის
ეპილოგს,
დაჰფუთფუთებენ ბებერ გულში ჭიაღუები.
აივნის ბოძზე თავს რომ იხრჩობს ლურსმანზე
კაბა,
შემორღვევია საყელო და ირგვლივ
მკლავები.
სწორედ ასეა მორღვეული ჭიშკართან გზა და
ძირს გაწოლილი ღობე, უკვე ერთი
მტკაველი.
ჩამოსძენძია ეზოს გულში ტოტები ტირიფს,
ყვითელ, გულაბ მსხალს შესევია ათასი
მწერი;
ეზო და ოდა ერთნაირად მოსთქვამს და
ტირის -
უპატრონობა, აი, ქვეყნის, ბუნების მტერი.
ცის ტატნობამდე აწოწილა კენწერო ალვის,
თვალს ვერ გაუწვდენ აშოლტილი ტანის
სიმაღლეს;
იქვე ძველი სკა წვრილ ფეხებზე ბარბაცებს,
ლამის
ძირს დაენარცხოს, წუხს და ეძებს თავის
სიმართლეს...
ოდესღაც როკვით მორაკრაკე იხრჩობა
წყაროც,
წვეთებს აშორებს პაუზები,
მოწყურებულებს.
სახლის კედელი შემოდგომის ჩამოჰგავს
პანოს,
ნესტიან ტანს კი გადაცმული ხავსი
დაჰყურებს.
ქარის კივილში ავადმყოფი ქოშინებს ოდა,
მტვრიან ფანჯრებზე სუროები ავლებენ
ხელებს,
წვიმას, თოვლსა და ქარბორბალას მოილევს,
ჰოდა,
თავის გულის დარდს გულსაკლავად
წამოახველებს.
ტყიდან შრიალით ამხნევებენ დიდი
ჭადრები,
წერილებივით ქარს ატანენ ფოთლების
რემას.
ამ შემოდგომას თან გაჰყვება მსგავსი
კადრები
და თეთრი თოვლი ამოიდგამს სუსხიან ენას...
ნეკერჩხლის ტოტზე შემომჯდარი ღაბუა
ჩიტი,
ღაჟღაჟა ფოთოლს გააცილებს სევდის
არიით,
დაელოდება ხის ტოტებზე გამოსხმას
კვირტის
და ზამთრის წასვლას შეადარებს მსხვრევას
გალიის.
...ისევ დადგება გაზაფხულის თბილი საღამო,
ააწიოკებს ქარი კვლავაც კვირტების
ქორწილს,
თავწამოყოფილ იის სურნელს, ასე საამოს,
სიო ღრუბელთან აიტანს და ლამაზად
მოწვიმს.

აქ ბებერ ოდას გაზაფხული დასვამს მზის
კეცზე,
ათინათს მხარზე სიხარულად თან დაიფენსო;
კერია ისევ ივარვარებს, ვინ ჰკარგავს
ფესვებს?!
უსულო კუნძი, ნაფოტია კაცი უფესვო!
თუ გონებაში დრო წარსულის საათებს
ტვიფრავს,
ოდესღაც ნახავს... დამარცხდება დღეები
თალხი;
ურთულესია, მამა-პაპის გაჰყვე ნატერფალს,
უთბილესია მოგებება მშობლიურ სახლის!

ენმ ბათუმში აქციებს აანონსებს

პატიმრობაში მყოფი ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის უცხოეთის კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ბათუმში აქციებს გეგმავს

ექსპრეზიდენტის თანაგუნდელების თქმით, ხელისუფლება ცდილობს სააკაშვილის სიცოცხლის მოსპობას წამებითა და არაადამიანური მოპყრობით. ამის შესახებ ენმ-ის ბათუმის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გუშინ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადეს. აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის „ნაციონალური მოძრაობიდან“ გიორგი კირთაძის თქმით, აქციები ბათუმში ვარდების რევოლუციის 18 წლისთავზე სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაიწყება.

„მიხეილ სააკაშვილს არ მოგაკვლევინებთ, ამისთვის გავაკეთებთ ყველაფერს. პირველი აქცია გაიმართება 6 მაისს, აჭარის რევოლუციის დღეს, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სწორედ იმ ადგილზე, საიდანაც დაიწყო აჭარაში ვარდების რევოლუცია. სწორედ რევოლუციის მთავარ მონაპოვარზე რევანშის განხორციელებას ცდილობს ბიძინა ივანიშვილი“, - განაცხადა გიორგი კირთაძემ.

როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ამბობენ, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმებულია, რაც არაერთი სამედიცინო დასკვნით დასტურდება.

„უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე კარგად გამოჩნდა, რომ ხელისუფლება რუსეთისადმი მაამებლურ გადაწყვეტილებებს იღებს, რაც კითხვის ნიშნებს აჩენს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო საზოგადოებაში. ამ ფონზე პოლიტიკური ანგარიშსწორებისათვის და რუსეთის საამებლად ხელისუფლება იყენებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის უკიდურეს ფორმებს მიხეილ სააკაშვილის მიმართ. საერთაშორისო საზოგადოება მესამე პრეზიდენტის პატიმრობას აფასებს, როგორც პოლიტიკურ დევნასა და ანგარიშსწორებას. აღნიშნულის შესახებ არაერთი განცხადება გაკეთდა არასამთავრობო სექტორის, საქართველოს და უკრაინის სახალხო დამცველების, ევროპარლამენტარების მხრიდან. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ცალკე თავია გამოყოფილი ექსპრეზიდენტის პოლიტიკურ დევნასთან, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით. ექსპერტები და სპეციალისტები ღიად აცხადებენ, რომ მესამე პრეზიდენტს ესაჭიროება დაუყოვნებლივ უცხოეთში, სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობა, რაზეც ხელისუფლება არ რეაგირებს, უფრო მეტიც, აკრძალეს მასთან ექიმების შეშვება, საკვების მიწოდება. ზემოაღნიშნული ფაქტები აჩენს ეჭვებს, რომ ხელისუფლება ჩვენ თვალწინ ცდილობს მესამე პრეზიდენტის სიცოცხლის მოსპობას წამებითა და არაადამიანური მოპყრობით და ამას აკეთებენ პუტინის საამებლად. ასე ჯის ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილს იმისთვის, რომ კრიმინალური და კორუმპირებული ქვეყანა გადაარჩინოს. ამერიკელ ექსპერტებს ეშინიათ, ეს ფაქტორი ეს ... ...

...და ახლა რომელ ფილმს ვუყუროთ?

ნანა აბულაძე 591 98 59 17

ხშირად, რუტინული ცხოვრებისგან თუ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისგან გადაღლილები, ეკრანებთან მოკალათდებით და ფილმის შერჩევას ვიწყებთ, რათა დროებით მაინც მოვწყდეთ არსებულ რეალობას და დავივიწყოთ ყოფიერი სევდა. ზუსტად შენს ემოციებზე მორგებული ფილმი რომ შეარჩიო, ეს საკმაოდ რთული პროცესია, რაც არცთუ ისე ცოტა დროს მოითხოვს. სწორედ ამიტომ, რჩევისთვის ხშირად მივმართავთ ამ მიმართულებით კომპეტენტურ ადამიანებს ან ჯგუფებს და ზუსტად ვიცით, რომ მათი რეკომენდაცია იქნება საინტერესო და არგუმენტირებული. დარწმუნებული ვარ, მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ჯგუფი „ვურჩიოთ ერთმანეთს ფილმები“ დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საიმედოა, რომლის დახმარებით არაერთი საოცარი ფილმი აღმოგვიჩენია.

ჩვენს კითხვებს - რამ გადააწყვეტინა აღნიშნული ჯგუფის შექმნა და რომელი ფილმების ყურებას ურჩევს ადამიანებს პოეტი ***როი აბუსელიძე*** *პასუხობს.*

- როგორ გაჩნდა ჯგუფის შექმნის იდეა და რამდენ წელს ითვლის იგი?

- იდეა ფილმების სიყვარულის გამო გამიჩნდა. ხშირად ვაქვეყნებდი პოსტებს და მეგობრებს ვთხოვდი, რამე ღირებული ფილმი ერჩიათ ჩემთვის. ისინიც მწერდნენ. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე შემექმნა კინომოყვარულთათვის საერთო სივრცე. 2016 წელს შევქმენი დახურული ჯგუფი „ვურჩიოთ ერთმანეთს ფილმები“, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ჩემს მეგობრებზე იყო გათვლილი.

- გამომწერთა მატება ნიშნავს, რომ ჯგუფი პასუხობს მომხმარებელთა ინტერესებს. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა კინომოყვარულთა ნდობის მოპოვება?

- იმან, რომ იმ პერიოდში მსგავსი ჯგუფი ქართულ სოციალურ სივრცეში, ფაქტობრივად, არ არსებობდა. მოდიოდა ბევრი მოთხოვნა, ხალხს უნდოდა ჯგუფში გაწევრიანება.

ჩემი და მეგობრების გადაწყვეტილებით, უცნობ ადამიანებსაც მივეცით „ჩვენს ოჯახში“ შემოსვლის უფლება. ამის შემდეგ ბევრი მსგავსი ჯგუფი შეიქმნა, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 60 ათასამდე წევრით უკონკურენტო ვართ ყველა ასპექტში.

- როცა ხართ ასეთი წარმატებული ჯგუფის შემქმნელი, ცხადია, დღევანდელი კინოს პულსაციასაც მკაფიოდ გრძნობთ. რა ეტაპზეა იგი, თუ ამბობს მთავარ სათქმელს?

-კინომოყვარულებს და კინომცოდნეებს შორის დიდი სხვაობაა, მე პირველ ნაწილს მივეკუთვნები. ხანდახან მრცხვენია კიდეც, რომ პასუხისმგებლობა იზრდება და მე არ მაქვს განათლება ამ კუთხით, თუმცა იმასაც აღვნიშნავ, რომ ჯგუფმა დიდი გამოცდილება შემძინა და უფრო მეტად მესმის კინო დღეს, ვიდრე - ადრე. ფილმების განვითარების ეტაპებს რაც შეეხება, ვფიქრობ, მსოფლიოში დღეს არსებული მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, მაინც წინ მიდის და ყოველწლიურად არის გამონათება ამა თუ იმ ჟანრში.

- ძირითადად, რომელი ჟანრის ფილმებზეა მოთხოვნა?

- ითხოვენ დრამას. მეც ამ კატეგორიას განვეკუთვნები. ყველაზე ნაკლები მოთხოვნა საქართველოში საშინელებათა ჟანრის ფილმებზეა.

- ჩვენს მკითხველს ურჩიეთ 5 ფილმი, რომლებსაც მის ცხოვრებაში გარდამტეხი როლის თამაში შეუძლია.

- ძალიან რთულია 5 ფილმის გამორჩევა, ამიტომ უცებ რაც გამახსენდება, დაუფიქრებლად გეტყვით: „ახალი კინოთეატრი „პარადისო“, „მანჩესტერი ზღვასთან“, „ზამთრის ძილი“, „სხვების ცხოვრება“, „ყველაფერი დედაჩემის შესახებ“. ასევე მინდა ჩემი საყვარელი მინისერიალი ვურჩიო ყველას - „დეკალოგი“ კშიშტოფ კესლევსკის რეჟისორობით.

- თუ არსებობს ბოლო წლებში გადაღებული ქართული ფილმი, რომელმაც თქვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა?

- რა თქმა უნდა. ეს არის ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“ და ზაზა ხალვაშის „ნამე“, მოკლემეტრაჟიანებიდან - გიორგი გოგიჩაიშვილის „8 წუთი“ და „10:45“.

- კინოს როლი - საზოგადოებაში...

- ეს, ალბათ, მაინც რეალობისგან გაქცევა და პარალელურ რეალობაში მოხვედრაა ჩვენთვის. უთქვამთ - ცხოვრებაც კინოაო, ანუ მეორე ცხოვრებაა იგი... ან სულაც პირველი და ჩვენ ვიმყოფებით მეორეში.

- დღევანდელ მსოფლიოზე რომ ფილმს იღებდნენ, ვინ იქნებოდა რეჟისორი, რა ჟანრის იქნებოდა იგი და ვინ ითამაშებდა მთავარ როლებს?

- მსგავსი ფილმი გადაიღეს შარშან - „მაღლა არ აიხედო“... რეალობის იდეალური გაშარჟებაა თავისი ავკარგიანობით, მსახიობთა ჯგუფიც ბრწყინვალეა: ლეონარდო დიკაპრიო, ჯენიფერ ლოურენსი, მერილ სტრიპი, ქეით ბლანშეტი, ტიმოთი შალამე, ჯონა ჰილი და სხვები.

- დამეთანხმებით, რომ მუსიკა დამატებით ემოციას და სიღრმეებს სძენს ფილმის შინაარს. თუ გამოარჩევდით ისეთ სამს, რომელზეც შეგიძლიათ თქვათ, სწორედ ეს მუსიკა რომ არა, ფილმი ვერ იქნებოდა ისეთი, როგორიც არის?

- აქაც შეიძლება ბევრი ფილმის გამორჩევა, მაგრამ რატომღაც თვალწინ ელგუჯა ბურდული (გელა ბენდელიანი) დამიდგა და „რამდარირო“ გამახსენდა, რომლის გარეშეც „უძინართა მზე“ არ ამოდის.

- წიგნი, რომლის ეკრანიზაციასაც ისურვებდით.

- ათობით წლებია, მიდის საუბარი ამაზე და მეც შემიყოლა დისკუსიამ. ამიტომ ასე ვიტყვი: ვისურვებდი „სამეფო კარის თამაშების“ სტილში ოდესმე „ვეფხისტყაოსნის“ გადაღებას.

- ჯგუფის კიდევ უფრო განვითარების მიზნით, რა გეგმები გაქვთ?

- ჯგუფში გვაქვს რამდენიმე რუბრიკა: მუსიკა - კინოში, კინო - ფოტოში, მსახიობები, მრავალი სახის გამოკითხვა და სხვა. ვაპირებთ თრეილერების პროგნოზების დამატებას, ფილმის გამოსვლამდე დისკუსიას, თუ როგორი იქნება, ჩვენი ვარაუდით, დაანონსებული კინოსურათი და ასე შემდეგ.

- რომელ ფილმში იცხოვრებდით სიამოვნებით და რატომ?

- ასეთი ფილმია „დიდი თევზი“, იქ გადავიდოდი საცხოვრებლად. ფერები, აურა, მუსიკა, ისტორია, ყველაფერი წესრიგშია, ყველაფერი იდეალურადაა. ეს ფილმი ჩემთვის არის სიმშვიდე, რაც დღეს ყველაზე მეტად სჭირდება თითოეულ ჩვენგანს.

- ფრაზა ფილმიდან, რომელიც ყველაზე ხშირად გამოგიყენებიათ...

- „რატომ ბრაზობ, სოსო?“ („ცისფერი მთები“).

- როგორც მომხმარებელი, ფილმების ჯგუფში რომ წერდეთ სტატუსს ახლა, რას დაწერდით?

- მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ჩემი შექმნილია და რამდენიმე არაჩვეულებრივი ადმინი ჰყავს, ჩვენც აბსოლუტურად იგივე უფლებებით ვსარგებლობთ, რითაც სხვა წევრები. სტატუსს რაც შეეხება, თვეში ერთხელ ვამბობ და თქვენც სიამოვნებით გეტყვით: იმისთვის, უკეთ რომ ვიყოთ, მოვწყდეთ რეალობას დროებით, ვიტიროთ, ვიცინოთ და ვიცხოვროთ სხვების ცხოვრებით, გავითავისოთ სხვების ტკივილი, ავივსოთ სხვების სიხარულით, საჭიროა... ვურჩიოთ ერთმანეთს ფილმები.

შეხვედრა მეცნიერთან

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ცნობილი მეცნიერის, მწერლისა და კულტუროლოგის, პროფესორ სოსო სიგუას საჯარო ლექცია და წიგნის „კულტუროლოგიის საფუძვლების“ წარდგენა

მას დაესწრნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და ქალაქის ინტელიგენციის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. ღონისძიება გახსნა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ჯონი საბაშვილმა.

ბატონ სოსო სიგუას კარგად იცნობს ქართული საზოგადოებრიობა. იგი ქვეყნის სამეცნიერო-ჰუმანიტარული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელია. წარჩინებით აქვს დამთავრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და ასპირანტურა. სრულიად ახალგაზრდამ, 25 წლის ასაკში, დაიცვა საკანდიდატო, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ – სადოქტორო დისერტაციები. ორივე ნაშრომი დიდი ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას ეძღვნება. ბატონი სოსო მაღალი დონის, პროფესიონალი ლიტერატორი და ნიჭიერი მკვლევარია, მის ნაყოფიერ მოღვაწეობაზე მეტყველებს დღემდე გამოქვეყნებული შრომები, რომელთა რაოდენობა 40-ს აღწევს.

სოსო სიგუა სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობა „მერანის“ და გამომცემლობა „საქართველოს“ რედაქტორად, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ - მთავარ რედაქტორად. არის სხვადასხვა მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. იყო მე-5 მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი. მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია სამტომეულისათვის „მარტვილი და ალამდარი“, ივანე მაჩაბლის პრემია ალ. ბლოკის პოეზიის თარგმნისათვის, დავით აღმაშენებლის I ხარისხის პრემია წიგნისათვის „მოდერნიზმი“. 2014 წელს მიენიჭა ილია ჭავჭავაძის პრემია „ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“. 2016-2019 წლებში გამოსცა „ქართული კულტურის ისტორია“ 4 ტომად. 2021 წელს, მისი ავტორობით, ხელახლა გამოიცა „კულტუროლოგიის საფუძვლები“ (913 გვ.).



სოსო სიგუა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თანათავმჯდომარეა. პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც უკავია სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობა კულტუროლოგიის დეპარტამენტში.

ლექციის დასასრულ, მეცნიერმა პასუხები გასცა მსმენელთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

ბოლოს, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, პოეტმა დავით თედორაძემ დამსწრეთა სახელით მადლობა გადაუხადა ბატონ სოსოს ასეთი ღრმაშინაარსიანი, საინტერესო ლექციისათვის.

ნანა ახალაძე,
მწერალი, ქართული კულტურის დესპანი

სამუშაო ადგილებზე დაღუპულთა და დაშავებულთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად

ყოველი წლის 28 აპრილს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება და მისი წევრი ორგანიზაციები სამუშაო ადგილებზე დაღუპულთა და დაშავებულთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. იგი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით დაწესდა.

„ამ დღის აღსანიშნავად და სამუშაო ადგილებზე დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება, ტრადიციულად, რგავს ხეებს, რითაც კიდევ ერთხელ შეახსენებს საზოგადოებას, დამსაქმებლებს, რომ აუცილებელია დასაქმებულთათვის ნორმალური და უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნა, რაც შეამცირებს სამუშაო ადგილებზე სიკვდილიანობას. ერთი სიცოცხლეც კი ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია. შრომის დაცვის საკითხი, უსაფრთხო შრომა და შრომის ღირსეული ანაზღაურება დღესაც სასიცოცხლო გამოწვევაა კაცობრიობის წინაშე, შრომის უსაფრთხოება კი თავის მხრივ ეროვნული უსაფრთხოების საკითხია, რადგანაც საზოგადოების განვითარება ყოველთვის იდგა და იდგება უმთავრეს ფაქტორზე, ადამიანის შრომაზე - ღირსეულ და დაცულ შრომაზე“, - აღნიშნულია პროფკავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების ფეისბუქგვერდზე.

აქციის მონაწილეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს რუსთავის აზოტის საწარმოში გაფიცულებს, რომლებიც ითხოვენ შრომის ღირსეულ ანაზღაურებას.

მარი მიდასელი

ნახევარი საუკუნე – თანახეობელთა სამსახურში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

სამედიცინო სასწავლებლის დამთავრება და ოჯახის შექმნა მახალაკიძეებელმა ეთერ მიქელაძემ ერთმანეთს დაამთხვია. ცხოვრების თანამოზიარე და თანამეცხედრე ისევ მშობლიურ სოფელში აირჩია, არადა ხელის მთხოვნელები სხვა სოფლებიდანაც მრავლად ჰყავდა. სოფლის ერთი უბნიდან მეორეში გადაბარგება და შაქრო ფუტკარაძესთან ერთად ცხოვრების ჭაპნის გაწევა არ გასჭირვებია. მეუღლეს, პროფესიით პედაგოგს, ხასიათითაც შეეწყო და ოჯახში სითბოც აჩუქა, ცოლ-ქმარი სამსახურებრივ მოვალეობასაც პირნათლად ასრულებდა. შაქრო სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა, ეთერი შუახევის რაიონული საავადმყოფოს ექთანი იყო. ისინი ნახევარი საუკუნეა ერთად არიან.

მრავალმა წყალმა ჩაიარა, 50-ჯერ შეიფოთლა ბუნება, 50-მა სუსხიანმა ზამთარმა თავისი კვალი დატოვა. ეთერს მინდობილი, ერთხელ არჩეული საქმისათვის არ უღალატია. ცნობილ მეანგინეკოლოგთან ერთად მუშაობისას კარგად დაეუფლა ბავშვის აყვანის პროცედურებს.

ქვეყნისათვის ძნელბედობის წლებში, როცა სოფლებიდან მშობიარე ქალების გადაყვანისთვის ტრანსპორტიც და ფულიც ძნელად საშოვნელი იყო, ეთერი გაჭირვების ტალკვესი აღმოჩნდა. განა მარტო მახალაკიძეებელ დედებს, მთელი მარეთის ხეობის მშობიარე დედების მხსნელი გამოდგა.

ახლა ზუსტ ციფრსაც ასახელებს. მისი დალოცვილი ხელების წყალობით 235 ბავშვი წუთისოფელს მოევლინა, 231 დედას გული გაუხარა. მისი აყვანილი ბავშვებიდან 4 ტყუპია. უფლის წყალობითა და მისი გონებაგამჭრიახობის შედეგად ერთი გართულებული შემთხვევაც არ ჰქონია.

სხვისი გულის გამხარებელი თავადაც დედობის მადლით ხარობდა. ინგა, გიორგი და თამარი ეზრდებოდა. წუთისოფელი ყველას თავის ტკივილის აჩვენებს. 1998 წელი მწარე მოგონებად, მოუნელებელ მწუხარებად ჩაიწერა ეთერის ცხოვრებაში, უკურნებელმა სენმა შაქროს სიცოცხლე მოუსწრაფა.

- იმხანად შაქრო ოლადაურის თემის ხელმძღვანელი იყო. უჭირდა სოფელს, არც ჩვენ გვილხინდა. მისი ხელიდან გამოცლის შემდეგ კიდევ უფრო გამიჭირდა. ინგა უმაღლესი განათლების მიღებაზე ოცნებობდა. ოლადაურელი თანაკლასელის - ფრიდონ ქარცივაძის სახით საქმროც ამორჩეული ჰყავდა. ინგა და გიორგი გვერდით დამიდგნენ. ინგამ ორივე ოცნება აისრულა - ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სტუდენტობას ოჯახის შექმნაც მოაყოლა. მალე პირველი შვილიშვილის - ნინოს გაჩენაც მახარეს. მახალაკიძეებში ბაგა-ბაღი რომ გაიხსნა, ექთნად მუშაობა შემომთავაზეს, დავთანხმდი, შემდეგ თემის სამედიცინო პუნქტის ექთნობაც დამაკისრეს. პროფესიული საქმიანობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე ამ სამსახურში მომილოცეს, - გვიამბობს ეთერი.

ინგას მსგავსად სანიმუშო ოჯახები შექმნეს გიორგიმ და თამარმა. თამარი ინგილოელი ჭაბუკის, გოჩა ზურაბაშვილის ცოლია. გოჩას ბიოგრაფია ერთობ საინტერესოა. იგი საინგილოშია დაბადებული, აჭარაში, კერძოდ, სოფელ დაბაძველში გამოთხოვილ მამიდას მიეკედლა, იქ დაამთავრა სკოლა. მიიღო უმაღლესი განათლება, პედაგოგიური საქმიანობა დაბაძველის საჯარო სკოლაში დაიწყო. ახლა სკოლის დირექტორია. თამარი და გოჩა სამ შვილს ზრდიან. ეთერი მათი სამი შვილით ამაყობს.

ადამიანები განსაცდელის ჟამს უფრო ძლიერები და მობილიზებულები ხდებიან. ასე იყო ეთერის ცხოვრებაშიც. უკვე მეორედ მოუწყო უფალმა მკაცრი გამოცდა. ამჯერად, ინგას მეუღლე, ფრიდონი, შეიწირა კოვიდმა.

- რას წარმოვიდგენდი, თუ შვილად აღიარებული ფრიდონი ასე მოულოდნელად დამტოვებდა. ინგამ შესაშური გამბედაობა გამოავლინა. კეთილი საქმეებით აცოცხლებს ერთგულ თანამეცხედრეს. მაზლთან და შვილებთან ერთად წიგნიც გამოსცა. ფრიდონის თანადგომა ჩვენს ოჯახზე დიდზე დიდი იყო. იგი გიორგის მესამე ძმად მიიჩნევდა. ფრიდონის დედაც ჩემსავით ადრე დაქვრივდა, მრავალი გაჭირვება და განსაცდელი გამოიარა, ახლა ობლად დარჩენილ რძალსა და შვილიშვილებს ეფერება ჩემთან ერთად. უფალს ვევედრები გვაკმაროს ეს გამოცდა, - თქვა ეთერმა.

მახალაკიძეები საკმაოდ დიდი სოფელია. აქ ჯანმრთელობის სადარაჯოზე მყოფ ადამიანს საქმე და საზრუნავი არ ელევა. ეთერიც ასაკის მიუხედავად იქ არის, სადაც დაუძახებენ.

- საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები ქალბატონი ეთერის საქმიანობით კმაყოფილნი ვართ. ერთი სატელეფონო ზარიც საკმარისია, რომ პაციენტთან გაჩნდეს. მისთვის დარი და ავდარი არ არსებობს. ჯანმრთელობაც ხელს აძლევს. სოფელიც ამაგს უფასებს, - გვითხრა მახალაკიძეების საჯარო სკოლის დირექტორმა ზურაბ დარჩიძემ.

«სოფელი მაშინაა ძლიერი, როცა მჭედელი ჰყავს»

«სოფლის მხარდამჭერი პროგრამით» მობილიზებული თანხის მიზნობრივად განკარგვის თაობაზე სოფელ ქიძინიძეებში გამართულ კრებაზე მოსახლეობამ მობილიზებული თანხით - 16 ათასი ლარით გარე განათების მოწყობა ისურვა. სოფლის რჩეულმა შუახევის საკრებულოში ემზარ აბაშიძემ კრებაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა: «წლებია, სოფელში არსებული სამჭედლო უმოქმედოდაა. შენობა თავზე გვექცევა, გრდემლსა და სხვა იარაღებს ჟანგი მოედო, საბერველიც შესაკეთებელია. იყო დრო ბინალ გოგიტიძე პატრონობდა სამჭედლოს, შემდეგ მისი ხელობა სულიკო გოგიტიძემ გააგრძელა. სულიკო ღვთისმსახურია და სამჭედლოსთვის ვეღარ იცლის. 3-4 ათასი ლარიც საკმარისია შენობის რეაბილიტაციისთვის. გამოჩნდა ადამიანი, რომელიც სამჭედლოს გააცოცხლებს და სოფელსაც სასიკეთოდ წაადგება».



თანასოფლელებმა მის წინადადებას მხარი დაუჭირეს. მჭედელი ქიძინიძეებელი რამაზ გოგიტიძე იქნება, რომელიც ხელობას გოგაძეებში მცხოვრები ცნობილი მჭედლის თევრათ თურმანიძის შეგირდობისას დაეუფლა.

- ბაბუა მარეთის ხეობაში ცნობილი მჭედლების ალი ცეცხლაძის, შერიფ ლემსაძის, ზექერია, მუხამედ ველიაძეების თაობის მჭედელი იყო. ეს ადამიანები ფოლადთან ურთიერთობის საიდუმლოებას ფლობდნენ. მათ მიერ გამოჭედილ თოხს, ცულს, წალდს, გუთნის პირებს, ცხენის ნალს ბადალი არ ჰქონდა, - გვითხრა რამაზ გოგიტიძემ, - სოფელში რომ ცხოვრობ, ცული, თოხი, წალდი, ხუროსა და კალატოზების სამუშაო იარაღები ნორმალური უნდა გქონდეს.

- ბაბუას ან სხვა ოსტატების მსგავსად მათ გამოჭედვას შეძლებ?

- ოსტატი, პირველ რიგში, სახელს, შემდეგ ხელს უნდა უფრთხილდებოდეს. გრდემლზე ჩაქუჩის დარტყმას ან საბერველის ტრიალს ყველა შეძლებს. რკინას ცეცხლი აწრთობს, მიუმატებ - დაიწვება, დააკლებ - რბილი და მუშაობისთვის უხარისხო იქნება. ბაბუა დანებს, ხმლებსაც ჭედდა. გოგაძეებში მის ნახელავს ახლაც ნახავთ. წალდის გამოჭედვაში ლომსიანეთელ (ტბეთის უბანი) შერიფს არ ჰყავდა ბადალი. ვცდილობ ერთის და მეორის მსგავსად, ფოლადს «დავუმეგობრდე». წუთისოფლიდან რომ მიდიოდა, ბაბუამ საბერველი მე მაჩუქა. ის გოგაძეებიდან ქიძინიძეებში ჩამოვიტანე და ახალ შენობას რომ ჩამაბარებენ, გამოვიყენებ.

- მარეთის ხეობის სოფლებში აღარც სამჭედლოა და აღარც ოსტატები შემორჩნენ...

- საწყენია, რომ ქვეყანაში არის გვარები: მჭედლიძე, მჭედლიშვილი, ფოლადაური, თოხაძე, მაგრამ გამომჭედელი აღარ მოიძებნება. ვფიქრობ, სხვა სოფლებში გამოჩნდებიან ამ ხელობის მიმდევრები. წაბლანაში ზექერია ველიაძე აოსტატებდა შვილს. რკინაზე, ფოლადზე მუშაობას კარგად ფლობს ტბეთელი ლევან ლემსაძე. მაგრამ მხედველობას უჩივის. ერთ ხანს პაპოშვილებში იყო სამჭედლო, მაგრამ... სოფელი მაშინაა ძლიერი, როცა მჭედელი ჰყავს.

«ლამაზი სიცოცხლის პალიტრა» - წარდგინება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქედის კულტურის სახლში ცნობილი სახელმწიფო მოხელისა და პედაგოგის დარია თურმანიძისადმი მიძღვნილი წიგნის «ლამაზი სიცოცხლის პალიტრა» წარდგენა გაიმართა.

ქედას არცერთ ეპოქაში წარმატებული და ცნობილი ქალბატონები არ მოჰკლებია. დარია თურმანიძე და მისი თაობის ქალბატონები წარმატებით აგრძელებენ წინაპართა ტრადიციებს. წიგნის ავტორები თამაზ აბულაძე და ჟუჟუნა შარაძე შეეცადნენ მათი როლი და დამსახურება საფუძვლიანად წარმოეჩინათ.

ავტორებთან ერთად წიგნის შესახებ ისაუბრეს ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, ქალბატონ დარიას მეგობრებმა ჩიტო ომერაძემ, გულნარა ბასილაძემ, გულიკო ფაღავამ, ეთერ დეკანაძემ, მისმა მოსწავლეებმა, ქედის რაიონის იმ ხელმძღვანელებმა, ვისთან ერთადაც იგი მუშაობდა. პროფესიით პედაგოგმა, სპეციალობით მათემატიკოსმა, შრომითი საქმიანობა მშობლიური მერისის საშუალო სკოლაში დაიწყო, ქედელი ახალგაზრდების ლიდერი გახდა, პარტიული მუშაკი, ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგე. სამსახურებრივი და მეგობრული ერთიერთობები ჰქონდა საქართველოს ახალგაზრდების მაშინდელ ხელმძღვანელთან, ეროვნულ გმირ ჟიული შარტავასთან, რაც წარმოჩენილია დაბეჭდილ სტატიაში . «მტრებმა ვერ მოგკლეს, ჟიული».



დარია თურმანიძის მრავალწლიანი შრომა არაერთგზის დაფასდა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ მას «საპატიო ქედელის» წოდება აქვს მინიჭებული.

- ამ წიგნის შექმნის იდეა 2015 წელს გაჩნდა, - გვითხრა თამაზ აბულაძემ, - დარიას თაობის ქედელები შევიკრიბეთ და გაერთიანება «ქედელთა მეგობრული კავშირი - ძველი ახალგაზრდები» დავაფუძნეთ. მისი ინიციატორი დარია თურმანიძე იყო. მასზე წიგნის დასაწერად ეს წამოწყებაც საკმარისი იყო. იდეა გიორგი ტაკიძეს ეკუთვნოდა. მოგვიანებით, მერისელმა ჟუჟუნა შარაძემ შემოგვთავაზა უკვე დამუშავებული აზრი და თანაავტორობაც ითავა. დარიასაც უარი აღარ უთქვამს. საგულისხმოა, რომ დღეს საზოგადოებამ ჩვენს ნაამაგარს კარგი შეფასება მისცა.

ღონისძიება, რომელსაც ლია მახარაძე უძღვებოდა, ქედის კულტურის ცენტრთან, მერისის კულტურის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა, ირინა დევაძემ სიმღერებით გაალამაზეს.

- პანდემიის გამო საღვთო და საერო დღესასწაულების, სხვა ღონისძიებების გამართვა შეიზღუდა. დღეს სამი თაობის ქედელები მოეფერნენ ერთმანეთს. მადლობას ვუხდი წიგნის ავტორებს, ღონისძიების ორგანიზატორებს, ქალბატონ დარია თურმანიძეს, - გვითხრა ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ.

მორიგი აფეთქება – რუსეთში

რუსეთში, კურგანის ოლქში მდებარე ფარმაცევტულ საწარმო „სინთეზში“, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ანტიბიოტიკების ძირითადი მწარმოებელია, აფეთქება მოხდა. ამის შესახებ რუსული და უკრაინული მედიასაშუალებები იუწყებიან.

„მომხდარი აფეთქების შედეგად, ჩამოინგრა საწარმოო შენობის დამცავი კონსტრუქცია“, - განაცხადეს პრესსამსახურში. მათივე ინფორმაციით, აფეთქება მეთანოლის ორთქლის გადაჭარბებულმა წნევამ გამოიწვია, რის გამოც ნაწილობრივ ჩამოინგრა 100 კვადრატული მეტრი ფართი.

ამირან გურიელიძე

არა, არა და არა – ომს!

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

პლანეტის პროგრესული კაცობრიობა შეშფოთებულია და პროტესტს გამოთქვამს უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო. ომის ექო ყველგან აღწევს, განსაკუთრებით მტკივნეულია იგი ჩვენთვის, ერთხელ კიდევ აცოცხლებს წარსულს - აფხაზეთის ტრაგედიას. მას შემდეგ 28 წელი გავიდა. აფხაზეთიდან ლტოლვილები კვლავ ელოდებიან მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას. ბევრმა მათგანმა ბათუმში ჰპოვა ნავსაყუდელი... უკრაინის ომმა მათ ძველი ტკივილები გაუახლა და პროტესტიც მკვეთრად გამოხატეს. ახლა ერთ-ერთ მათგანს, გამორჩეულ კოლხ ქალბატონს, სილამაზითა და ნიჭით, მამაცობით ქებულს, აჭარის მწერალთა სახლის ოფისის მენეჯერ ***მარიკა ლაშხს*** *ამ მტკივნეულ თემაზე ვესაუბრებით.*

- უკრაინის ომის მძიმე კადრებს როცა შეჰყურებთ, ცხადია, ტკივილი უფრო გიმძაფრდებათ, რომელიც აფხაზეთთანაა დაკავშირებული...

- რა თქმა უნდა, უკრაინის ომმა ძველი ტკივილები გაგვიახლა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულებს, კადრებში განგაშის ხმა რომ მესმის, ინსტინქტურად კარისკენ ვიხედები, თითქოს გაქცევა მინდა... უკრაინელი ხალხის ტრაგედია ძალიან ახლოსაა ჩემთან.

- გზა, რომელიც გამოიარეთ, მძიმე იყო - როგორ დაიწყო იგი და შემდეგ რანაირად წარიმართა?

- ჭუბერის გზის საშინელების შესახებ საქართველოში, და არა მარტო, უკვე ყველამ იცის, თუმცა თუ ამ გზის საშინელება საკუთარ თავზე გაქვს გამოცდილი, მისი მოგონების სიმძიმე ენით აღუწერელია. უფლის ნებით, ჩვენ ეს გზა დავძლიეთ და შემდეგ გამოჩნდნენ ჩემს ცხოვრებაში კეთილი ადამიანები, რომელთა თანადგომით შევძელი ცხოვრების გაგრძელება, მადლობა ყველას ამისთვის. უფალი შეეწიოთ!

- ყველაზე მტკივნეული დღე, რომელმაც შეგძრათ...

- ეს არის სოხუმის დაცემის დღე, რომელთანაც დაკავშირებულია უამრავი ადამიანის, მათ შორის – მამის დაღუპვა, შემდგომ მეუღლის და დედის გარდაცვალების დღე.

- ვისთან ერთად და როგორ გადალახეთ ეს გოლგოთა - უღელტეხილი?

- 14 დღის განმავლობაში გრძელდებოდა გზა უღელტეხილიდან ჭუბერამდე, დასთან და ნათესავებთან ერთად მოვდიოდი... ეს მართლაც, გოლგოთა იყო!

- ბედნიერი ბავშვობა გქონდათ. გვიამბეთ იმ ადგილზე, სადაც გაიზარდეთ და ადამიანებზე, ვინც თქვენ გაგზარდათ, სულიერად გაგაძლიერათ...

- დიახ, დიახ, ნამდვილად ბედნიერი ბავშვობა მქონდა. გავიზარდე სოხუმთან ახლოს, ერთ-ერთ ულამაზეს, ისტორიულ სოფელ წებელდაში, უახლოეს ადამიანებთან, ლაღ და სიყვარულით სავსე გარემოში.

- ლამაზი, გონიერი და მართალი - ასე გიცნობენ. მე ერთ ეპითეტსაც დავამატებდი – უშიშარი. დასტურად თქვენს თავდადებულ საქციელს მოვიყვან, როცა დედის გადასარჩენად ენგური გადაცურეთ...

- გმადლობთ, რამდენად ვიმსახურებ ასეთ შეფასებას, არ ვიცი, თუმცა დედის გადასარჩენად ენგურის გადალახვა, ასევე ტყვეობიდან მისი გამოხსნის თაობაზე აფხაზ სამხედრო მაღალჩინოსანთან შეხვედრა მშობლისადმი თავგანწირული სიყვარული უფროა, ვიდრე უშიშრობა. ვფიქრობ, ამას ნებისმიერი გააკეთებდა. იმის მოყოლა, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი, საკმაოდ შორს წაგვიყვანს და ინტერვიუს ფორმატში ნამდვილად ვერ ჩავატევ.

- როგორც ვიცი, პოეტმა ზურაბ ზოიძემ ლექსიც მოგიძღვნათ.

- კი, ბატონო, ინებეთ:

სულში მთასავით დაინისლა

შიში და შფოთი მის სულში
დაიმსხვრა, როგორც სურა,
ტყვიების ცეცხლში, შეშლილი
ენგური გადაცურა.
ერთმა ფრთამარდმა ასულმა,
მაგრამ მტრისათვის ნაღმმა,
დედა რომ დარჩა მოკვდავი,
სადღაც ენგურის გაღმა.
თითქოს კეთილად ასრულდა,
თითქოს ასრულდა მარტივად,
ზოგის მამა თუ აცხონა,
ბევრისაც დედა ატირა.
და რაკი ნახა დუშმანმა
თავის განწირვა ქალისა,
გულში ყინული გაულხვა,
სულში მთასავით დანისლა.
მას აუსრულეს სურვილი
და გაიტრუნენ ველები,
მერე იმ გოგოს ნაკვალევს
ცელავდა ცეცხლის ენები.
დღეს ზოგი ამას კითხულობს
ქალი იყო თუ ფერია,
მტერივით გაშმაგებული
ენგური ვერ მოერია.
და დარჩა ასე მარადის
შფოთვა მაგიური ძალისა,
თავგანწირვა და სიშლეგე,
ქართველი ამორძალისა.

- როცა ბათუმში ჩამოდით, პატარა გოგო იყავით - თქვენი ტკივილითა და განცდებით. ახალ გზას დაადექით... ახლა როგორ გასცქერით მას?

- გავცქერი როგორც ტკივილებით, ისე სიხარულით სავსეს.

- მრავალი მადლით ხართ მირონცხებული. მაინც სად, რომელ სფეროში შეძელით ნიჭის რეალიზება?

- საკმაოდ ბევრი კომპლიმენტი მივიღე თქვენგან, გმადლობთ ამისთვის, ცოტას ვმღერი, ცოტას ვცეკვავ, ცოტას ვწერ კიდეც... ცოტას ვთამადობ... მაგრამ თუ თავის ქებაში არ ჩამეთვლება, ჩემი მეგობრების შეფასებას მოვიშველიებ – ყველაზე დიდი ნიჭი ჩემში ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭია.

- დათუნა - თქვენი პირმშო შემდგარ პიროვნებად რომ ჩამოყალიბდეს, ამისთვის რა მიგაჩნიათ უმთავრესად?

- იცოდეს, რა არის სიყვარული და ადამიანობა, მინდა, მივცე განათლება, რისთვისაც ჩემი შესაძლობლობების მაქსიმუმს ვაკეთებ.

- ომი 21 საუკუნისთვის ანომალიაა. ამას ვხედავთ, ვგრძნობთ, განვიცდით... და მაინც გრძელდება ეს ბარბაროსობა... გამოსავალი? გასძახეთ სამყაროს, გასძახეთ ჩვენს პლანეტას, მის მესვეურებს, იქნებ მისწვდეს თქვენი ხმა...

- არა, არა და არა - ომს!

უკრაინა

უკრაინის ძლიერი წინააღმდეგობის გამო რუსეთის ტერიტორიული მონაპოვარი დონბასში შეზღუდულია და მიღწეულია მნიშვნელოვანი დანაკარგების ფასად. ამის შესახებ, ნათქვამია ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო მიმოხილვაში. დონბასისთვის ბრძოლა რჩება რუსეთის მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად, რათა მიაღწიოს დასახულ მიზანს - დონეცკის და ლუგანსკის რეგიონებზე კონტროლს, - განაცხადა ბრიტანეთის სამინისტრომ. აღნიშნულ რაიონებში ბრძოლები განსაკუთრებით მძიმე იყო ლისიჩანსკის და სევეროდონეცკის რეგიონში, იზუმიდან სლავიანსკში სამხრეთით გადაადგილების მცდელობებით.

* * *

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ ახალ აუდიოჩანაწერში ოკუპანტები ერთმანეთს თავის განცდებს უზიარებენ. „სიმართლე გითხრათ, რუსების რაოდენობა იკლებს. იქვე ფარდულებია და რუსი ჯარისკაცების ცხედრები, უბრალოდ, მოაქვთ და ყრიან. არც იციან, ვინ ვინ არის, არც არკვევენ. იქ 5-6 გროვაა! წარმოიდგინე! მათ, უბრალოდ, არ იციან, ვინ ვინ არის“, - ამბობს დამპყრობელი. ოკუპანტი ასეულის დანაკარგებზეც საუბრობს. მისი თქმით, 67 ჯარისკაციდან დარჩა მხოლოდ 10, დაღეს-ტნელები და ჩეჩნები კი საერთოდ გარბიან სიტყვებით, რომ „ეს მათი ომი არ არის“.

* * *

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა „მაღალი სიზუსტის იარაღით“ კიევში მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი გაანადგურეს. შეგახსენებთ, რომ გუშინდელი სარაკეტო თავდასხმის შედეგად კიევში საცხოვრებელი კორპუსი დაინგრა, ერთი ადამიანი დაიღუპა, 10 დაშავდა.

* * *

პოლონეთმა უკრაინას გადასცა 200 ერთეული ტანკი T-72, რომელიც ორ სატანკო ბრიგადას აღჭურავს. ამის შესახებ, „პოლონური რადიო“ იუწყება. აღნიშნულია, რომ ტანკების გარდა, უკრაინაში, სხვა იარაღთან ერთად, რამდენიმე ათეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა გაიგზავნა. ასევე, იარაღს შორის, რომელიც უკრაინამ მიიღო პოლონეთიდან, არის თვითმავალი ჰაუბიცები „2es1 გვოზდიკა“ და მრავალჯერადი სარაკეტო გამშვები „გრადი“. პოლონეთმა ასევე უზრუნველყო საჰაერო კლასის რაკეტები „მიგ-29“ და „სუ-27“ თვითმფრინავებისთვის. გარდა მძიმე აღჭურვილობისა, ეს არის ასევე პოლონური კომპანია WB Electronics-ის მიერ წარმოებული დრონები, რომლებსაც, სხვა დანიშნულების გარდა, სადაზვერვო საქმიანობისთვისაც იყენებენ; ასევე - გადასატანი საჰაერო თავდაცვის სისტემები Piorun, რომლებმაც, არაოფიციალური ინფორმაციით, უკვე ჩამოაგდეს რუსული ვერტმფრენები. ასევე, პოლონეთი უკრაინას უამრავ საბრძოლო მასალას აწვდის.

* * *

უკრაინას ამიერიდან შეუძლია, ცა ეფექტურად დაიცვას, რადგან შეიარაღებაში უკვე მიიღო სლოვაკური სარაკეტო დანადგარი C-300. აღნიშნულ მოწყობილობას შეუძლია, ჩამოაგდოს რუსული თვითმფრინავები, ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტები. უკრაინის სარაკეტო ჯარი, რომელმაც C-300 უკვე მიიღო, შეუდგა საბრძოლო დავალებების შესრულებას. ვაგრძელებთ უკრაინის ცის დაცვას რუსი „ორკებისგან“. C-300 ჩვენი პარტნიორებისგან მივიღეთ, ის კი ჩვენს უსაფრთხოებას კიდევ უფრო გააძლიერებს. ეს მოწყობილობა უკვე შეუდგა საბრძოლო დავალებების შესრულებას, - ნათქვამია უკრაინის შეიარაღებული ძალების განცხადებაში.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

საკანონმდებლო სიახლის გაცნობისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით

მე-2 გვერდიდან

კვლევაზე დაყრდნობით, დავით გაბაიძისა და ვლადიმერ მგალობლიშვილის ავტორობით, აჭარისა და საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, მომზადდა კანონის პროექტი - „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს (მომხსენებელი ლადო მგალობლიშვილი) წარუდგინა. 2022 წლის 12 აპრილს, ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ინიციატივას მხარი დაუჭირა.

კანონის ამოქმედებით, აჭარის მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფ ორ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრსა და დასაქმების სააგენტოს, ნაცვლად გართულებული სატენდერო პროცედურებისა, სწრაფად და მარტივად, ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე, უფლება აქვს გრანტის სახით დააფინანსონ ახალგაზრდების მონაწილეობა ისეთ მნიშვნელოვან პროექტებში, როგორიცაა: ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში, საერთაშორისო საზაფხულო სკოლებში მონაწილება და ა.შ. ასევე, შრომით ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში გადამზადებულ პირებზე გრანტი გასცეს სხვადასხვა სახის სამუშაო ინვენტარის შესაძენად, რაც ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ვლადიმერ მგალობლიშვილი აცხადებს, რომ საკანონმდებლო სიახლის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგნელებთან ერთად განიხილეს კანონის შემდგომი სამართლებრივი პროცედურების სწრაფად განხორციელების საკითხები, რათა სიახლე უმოკლეს ვადებში დაინერგოს პრაქტიკაში. მისივე თქმით, კანონის ამოქმედება მიზნობრივ პროგრამებში მონაწილეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტიაა.

ია შველიძე

ანტონიო გუტერეში უკრაინას ძალისხმევის გაორმაგებას ჰპირდება

გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერეში კიევში ვიზიტის შემდეგ „ტვიტერის“ გვერდზე წერს:

„შემძრა უკრაინელი ხალხის გამძლეობამ და სიმამაცემ. ჩემი გზავნილი მათთვის მარტივია: ჩვენ არ დავნებდებით. გაერო სიცოცხლის გადასარჩენად და ადამიანთა ტანჯვის შესამცირებლად ძალისხმევას გააორმაგებს. ამ ომში, როგორც ყველა ომში, მშვიდობიანი მოსახლეობა ყოველთვის ყველაზე მაღალ ფასს იხდის“.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 29/04/22, 21 ⁴⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მანანა გაბაიძის შემოქმედების საიუბილეო საღამო

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების ცენტრში მუსიკოს მანანა გაბაიძის შემოქმედების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა, რომლის ორგანიზატორი გახლდათ მომღერალი ეთერ გორაძე, სპონსორი - Hhp Georgia DETOXBODY Batumi

საღამო მიჰყავდა მსახიობ მაკა შალიკაშვილს, რომელმაც შეკრებილთ მოკლედ შეახსენა კომპოზიტორ მანანა გაბაიძის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა.

დაიბადა „განდაგანის“ ცნობილი შემსრულებლის თოფუზ გაბაიძის ოჯახში. დედა - პელაგია გელაშვილი მედიცინის მუშაკი იყო, რომელსაც ძალიან უყვარდა მუსიკა და ქალთა გუნდსაც ხელმძღვანელობდა, მღეროდა მისი ტყუპისცალი ძმაც. სკოლის დამთავრების შემდეგ მანანა ბათუმში გადმოვიდა, აქ დაამთავრა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი და მისი დასრულებისთანავე ჩაირიცხა ვანო სარაჯიშვილის სახელობია სახელმწიფო კონ-

სერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე, პარალელურად, მუშაობდა №1 სამუსიკო სკოლაში. 1982 წელს დაინიშნა ბათუმის №6 სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, ორი წლის შემდეგ - დირექტორად. სამუსიკო სკოლების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ბათუმის №6 სამუსიკო სკოლა მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლას მიუერთდა, სადაც ის საგუნდო განყოფილების გამგედ დაინიშნა. მანანა გაბაიძე წლების განმავლობაში უძღვება ბავშვთა ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „ლაშეს“, რომელმაც არაერთ წარმატებას მიაღწია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. არის სხვადასხვა ფესტივალის ლაურეატი.

წლებია, ქალბატონი მანანა ქმნის არაჩვეულებრივად მელოდიურ და გულში ჩამწვდომ სიმღერებს, რომლებსაც სხვებისგან ადვილად გამოარჩევთ. დაწერილი აქვს ასამდე საბავშვო, საგუნდო, პატრიოტული სიმღერა, რომანსი, აქვს აჭარულ დიალექტზე შექმნილი სიმღერები. გააფორმა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი „მეგობრობის ძალა“, რომელმაც უკრაინაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე პირველი ადგილი მოიპოვა. ფესტივალის ორგანიზატორებმა მაშინ სპექტაკლის სწორედ მუსიკალური მხარე აღნიშნეს. დაწერილი აქვს ექვსი საბავშვო საფორტეპიანო ანსამბლი და სამი პიესა, რომლებიც მალე დაიბეჭდება.

აღსანიშნავია, რომ კონცერტში მონაწილეობდა ჩვენი თანაქალაქელი, ამჟამად გერმანიაში მოღვაწე მევიოლინე ბელა მახარაძე-ბერკერი, რომლისთვისაც მანანა გაბაიძემ საიუბილეო კონცერტის ჩატარებამდე სპეციალურად დაწერა ორი სავიოლინო ნაწარმოები - „ტანგო“, „განთიადი“, შესრულდა ასევე სიმღერა - „სულის სილამაზე“, რომელიც ბელა მახარაძის მოულოდნელად გარდაცვლილ ძმას - პაატა მახარაძეს მიეძღვნა. „ტანგო“ და „განთიადი“ ქალბატონი მანანას მიერ შექმნილი პირველი სავიოლინო ნაწარმოებებია, რომლის დაწერა ქალბატონმა ბელამ შესთავაზა და მანვე შეასრულა. ასევე შედგა აჭარულ დიალექტზე შექმნილი სიმღერის „შეფრენილო ფუტკარო“ პრემიერა, რომლის ტექსტი პოეტ მზია სალვარიძეს ეკუთვნის. ეს პოეტისთვისაც დებიუტი გახლდათ - პირველად აამღერეს მისი ლექსი.

რაც შეეხება საღამოს ორგანიზატორს, მომღერალი ეთერ გორაძე -იავუზი მანანა გაბაიძის ყოფილი მოსწავლეა. დაამთავრა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი, მუშაობდა აჭარის სახელწიფო კაპელაში გუნდის მსახიობად. მოგვიანებით, თურქეთში გათხოვდა. 21 წელია, სტამბოლში ცხოვრობს და იქ გააგრძელა მოღვაწეობა. ასწავლიდა სკოლებში, სტუდიებში ფორტეპიანოსა და ქართულ სიმღერებს. ხშირად მონაწილეობდა ქართული კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონცერტებში, ჰქონდა საკუთარი საღამოებიც. უკრავს ფორტეპიანოზე, მღერის ქართულ სიმღერებს. პანდემიის გამო, ერთი წელია, ბათუმში იმყოფება.

- ქალბატონი მანანა ჩემი პირველი მასწავლებელია, რომელმაც ამამღერა. ბავშვობიდან მესმოდა მისი სიმღერები და ძალიან მომწონდა. საზოგადოების წინაშე ასეთ ფორმატში პირველად წარვსდექი. ძალიან მიყვარს და ვაფასებ ქალბატონ მანანას, ამიტომ გადავწყვიტე მისი სიმღერები კიდევ ერთხელ გამეჟღერებინა, ბათუმელი მსმენელისთვის უფრო ახლოს გამეცნო მისი შემოქმედება, - გვითხრა ეთერ გორაძემ, რომელმაც კონცერტის დაწყებისთანავე საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო ჰიმნები შეასრულა, შემდეგ კი მანანა გაბაიძის სიმღერები, როგორც ინდივიდუალურად, ისე - დუეტში, მომღერალ სულხან დევაძესთან ერთად.

ბელა მახარაძე-ბერკერმა მადლობა გადაუხადა კონცერტზე მოწვევისათვის ორგანიზატორებს და გამორჩეულად მოეფერა დარბაზში მყოფ აჭარის პირველ ვიოლინოს თემურ შალვაშვილს, რომელთანაც 9 წლის ასაკიდან ეუფლებოდა ვიოლინოს. როგორც აღნიშნა, მან შეაყვარა ეს ჯადოსნური მუსიკალური ინსტრუმენტი.

კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ მანანა გაბაიძის აღზრდილი ახალგაზრდა მომღერლები - სოფო გაბაიძე, ქეთევან კურდალიშვილი, თენგიზ გაბაიძე, რუსუდან გორგილაძე, გიგა გაბაიძე, პიანისტი მა-

რიზა აფხაზავა, ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური საბალეტო სკოლის აღსაზრდელები თეკლა პატარიძე და ლინდა სირაბიძე (ქორეოგრაფი სალომე დუმბაძე).

სცენაზე კიდევ ორი ნიჭიერი ახალგაზრდა ვიხილეთ: კამერული ანსამბლის დირიჟორი გიორგი ტრაპაიძე, რომელმაც ჯერ ბათუმის მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის საგუნდო განყოფილების ექვსწლედი, შემდეგ თერთმეტწლედი და ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა. ასევე, წარმატებით ისწავლა მაგისტრატურაში. ამჟამად ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიულ თეატრში მუშაობს, აფორმებს სპექტაკლებს მუსიკალურად, არის ახალგაზრდულ ბენდში, არაერთ მუსიკალურ ინსტრუმენტს ფლობს. საღამოში მონაწილეობისთვის მანანა გაბაიძემ მიიწვია. დირიჟორის ამპლუაში ეს მისი დებიუტი იყო და შესანიშნავად წარმოაჩინა თავი. შესანიშნავ პიანისტს გიორგი დიასამიძეს უკვე კარგად იცნობენ სამუსიკო წრეში, მას შეუძლია მსმენელს ნებისმიერი სიმღერის საკუთარი იმპროვიზაცია შესთავაზოს.

საიუბილეო საღამომ ძალიან თბილად ჩაიარა. მანანა გაბაიძის ნაწარმოებებმა ყველას გაუთბო გული. კონცერტის ბოლოს შესრულდა მისი პოპულარული სიმღერა „კაპნი ბოლოს“, რომელიც დიდი ხანია შეიყვარა მსმენელმა.

- დღევანდელმა საღამომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნამდვილ ნიჭიერებას არც შემფასებელი გამოელევა და არც მადლიერების გამომხატველი. ასეთ სითბოს მანანა ნამდვილად იმსახურებდა. მინდა, ვუსურვო დღეგრძელობა, ჯანმრთელობა, წარმატება და, რაც მთავარია, უამრავი ახალი სიმღერის შექმნა, - გვითხრა პოეტმა ბელა ქებურიამ.

- მანანა გაბაიძის სავიოლინო ნაწარმოებებზე მინდა გავამახვილო ყურადღება. პირველად მოვისმინე, ძალიან კარგია, ნოტებიც კი ვთხოვე, ვფიქრობ, კონცერტებზე შევასრულო, ძალიან ეფექტურია მოსასმენად. საღამო იყო ძალიან თბილი, კარგი შემსრულებლებით. ძალიან ვისიამოვნე ეთერ გორაძის მიერ შესრულებული მანანას სიმღერებით. სულითა და გულით ვულოცავ მას, - აღნიშნა მაესტრო თემურ შალვაშვილმა.

- მიხარია, რომ მანანა გვახარებს ასეთი საღამოებით. ის ყოველთვის ტოვებს სცენაზე სიკეთეს. ბევრი წარმატება მინდა ვუსურვო მას, - გვითხრა საოპერო დასის ქორმაისტერმა რუსუდან ბერიძემ.

- თბილი საღამო გამოვიდა. მადლობა ეთერ გორაძეს, რომ ენდო ჩემს სიმღერებს, საჯაროდ გამოიტანა და მსმენელს გააცნო. მადლობა შემსრულებლებს, ყველას, ვინც ჩემ გვერდით დადგა. არაჩვეულებრივი გუნდი შედგა. მადლობა ბათუმის მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელობას თანადგომისთვის, - თქვა მანანა გაბაიძემ.

სიახლეები – აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

გაიმართა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე უძღვებოდა

სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 1989 წლის 9 და 19 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასა და სტიქიის შედეგად დაღუპული თანამემამულეების, მოძმე უკრაინაში რუსი ოკუპანტების საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის და გმირი მებრძოლების ნათელ ხსოვნას.

სხდომაზე ითქვა, რომ პოსტპანდემიური 2022 წელი ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ფედერაციას, იმედი გამოითქვა, რომ ეს უკეთესი სპორტული შედეგების, პროფესიული სრულყოფის და სიახლეების წელი იქნება.

ჯემალ წულუკიძემ ქართული ჭიდაობის სამწვრთნელო საქმიანობის დაწყება მიულოცა გოგიტა ზოიძეს (შუახევში) და მარად გორგაძეს (ქედაში).

გამგეობის წევრებმა ფედერაციის ასაკობრივი ნაკრები გუნდების ფიზიკური და მეთოდური მომზადების ინსტრუქტორად დანიშვნა მიულოცეს ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწე გოგიტა აბრამოვს (ქიზიყელი).

გამგეობის სხდომაზე დამტკიცდა ფედერაციის 2022 წლის სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმა, რომელიც არსებულ რეალობაზე და გამოწვევებზეა გათვლილი.

ფედერაციის მმართველმა ორგანომ ასაკობრივი ნაკრების მთავარ მწვრთნელებად დაამტკიცა: დიდების - გელა ზოიძე, ახალგაზრდების - მიხეილ კოჩალიძე, ჭაბუკების - რუსლან შავაძე.

სხდომაზე ასევე იმსჯელეს მსაჯთა კოლეგიის საქმიანობის, ქართული ჭიდაობის ახალი სექციების და დარბაზების გახსნის, სხვადასხვა სპორტულ პროექტში ჩართულობის და საერთაშორისო კავშირების გაფართოების საკითხებზე. აღინიშნა, რომ აჭარაში ქართული ჭიდაობა კიდევ უფრო პოპულარული გახდება, ფედერაცია ეფექტურად იზრუნებს ქართული ჭიდაობის დიდების და ღირსების დასაცავად. ამას მიაღწევენ იმ ჯანსაღ ძალებთან ერთად, რომლებიც მზად არიან, საკუთარი შრომის, ძალისხმევის და მოტივაციის ფასად, გვერდში დაუდგნენ ამ ეროვნულ, ჭეშმარიტად მამულიშვილურ და სახელმწიფოებრივ საქმეს.

ხვალ შუახევი ქართულ ჭიდაობაში აჭარის ჩემპიონატს უმასპინძლებს.

ტრავმები რომ არა...



ჯანო ანანიძის მიერ საფეხბურთო კარიერის დასრულებას ყოფილი ფეხბურთელის უკანასკნელი კლუბი - ბათუმის „დინამო“ გამოეხმაურა:

„პირველ რიგში, გვინდა, ჯანოს ჯანმრთელობა ვუსურვოთ და ჩვენი გუნდის მაისურით მოედანზე გატარებული თითოეული წუთისთვის მადლობა გადავუხადოთ. სამწუხაროდ, ტრავმების სიმრავლემ ჯანოს საფეხბურთო ნიჭის სრულად წარმოჩენის საშუალება არ მისცა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს უამრავი დადებითი ემოცია აჩუქა. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჯანო ანანიძე კვლავაც დარჩება ქართული ფეხბურთის სამსახურში და არაერთ სასიკეთო საქმეს გააკეთებს“.

შეგახსენებთ: საქართველოს ნაკრების 29 წლის ყოფილი ნახევარმცველის მიერ ფეხბურთიდან წასვლის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ გავრცელდა.

ამირან გურიელიძე